



ლიტერატურული მესხეთი

№9 (299)
სექტემბერი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათეუთი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

„ვეფხისტყაოსანი“ და იმპროვიზირებული ქართული სინამდვილე

აპთანდოლ არაბული საკადემიოსი

წინამდებარე პუბლიკაციით გვინდა დავუბრუნდეთ შოთა რუსთაველის მოღვაწეობის დროის და ადგილის საკითხს აღნიშნული ეპოქის საქართველოში, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ამ ისტორიული კონტექსტის სწორად განსაზღვრა შესაძლებლობას ქმნის უფრო ადეკვატურად იქნეს წაკითხული და გააზრებული როგორც შენაბამის ისტორიული მოვლენები, ისე ნაწარმოების სიუჟეტისა და იდეური მიზანდასახულების მიმართება რეალურ დროსა და სივრცესთან.

„ვეფხისტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის ვინაობა თითქმის მთლიანად იდუმალებით არის მოცული.

არადა, ავტორი საქართველოს ისტორიის ისეთ მონაკვეთში მოღვაწეობდა, რომლის შესახებაც თითქმის ყველაფერი ვიცით სანდო მნიშვნელოვანი წყაროების მიხედვით. ამ დროს ქართველებს აღმშენებლობისთვისაც ჰქონდათ დრო და ისტორიული მოვლენების აღწერისთვისაც, ბოლოს და ბოლოს რამდენიმე დიდოსტატი მემკვიდრე მოღვაწეობდა ამ ბრწყინვალე პერიოდში.

მაშ, რაღა ამ გამორჩეული პოეტის ვინაობის გასაიდუმლოება მოინდომა ისტორიამ?

ერთადერთი ხელჩასაჭიდი ისტორიული დოკუმენტი ავტორთან დაკავშირებით – ეს არის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა და ჩანაწერი სააღაპე ნიგნში მეჭურჭლეთუხუცესი შოთას შესახებ (რასაც კიდევ დავუბრუნდებით). პოეტის დაკარგული ბიოგრაფია კი ლეგენდებშია შეჯავსო.

მართლაც ნაირგვარი ფანტაზიის წყარო აღმოჩნდა დიდი თამარ მეფისა და მისი თანამედროვე გენიალური შემოქმედის ცხოვრება ხალხური შემოქმედებისათვის. ცნობილია, რომ ისტორიამ და, რაც მთავარია, ქართველმა ხალხმა იგი მითითური შარავანდედით შემოსა. გარკვეულ დროს მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ფოლკლორულ წყაროებს პოეტისა და მისი ტრაგიკული ბედის შესახებ. მაგრამ ამჟამად, რომ ხალხის გამოწვევით უმეტესად სრულიად დაცლილებული ჩანს ისტორიული რეალობისაგან და მხოლოდ ლეგენდებისა და ზღაპრების მხატვრულ პირობითობას ექვემდებარება.

ერთი მესხური გადმოცემა, მაგალითად, ჰყვება, რომ თამარი შოთასაც ჰყვარებდა და მის ძმასაც (ცხადია, ავტორს „ვეფხისტყაოსანი“ თამარისთვის მიურთმევია და პირველად მამინე უნახავს!). შოთას რომ გაუგია, თამარი ჩემ ძმასაც უყვარდა, სპარსეთში გადახვეწილია. ამ დროისათვის შოთას ცოლიც ჰყოლია. მიტოვებულ ცოლს კაცის სამოსი ჩაუტყვამს, უპოვია შოთა სპარსეთში და ორთაბრძოლაში დაუხოცავთ ერთმანეთი!

არაერთი გადმოცემა შეეხება თამარ მეფის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს.

ერთი რაჭული ლეგენდა კი (თამარის კლდე და შოთას მთა) ასეთ გულმჩიამწვდომ ამბავს მოგვითხრობს:

„სოფელ შქმერის მახლობლად მალა კლდე შია ჩაშენებული გამოქვაბული. დღესაც იგი მიუვალად ითვლება. ხალხის აზრით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას და კლდეზე მისი გამოსახულებაა დაცული. ამ გამოქვაბულთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული:

„თამარ მეფესა და რუსთაველს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ. შოთა რუსთაველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგაო. თამარ მეფემ ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისათვის. როდესაც სიყვარულის დარდი განსაკუთრებით შემოანეწებოდა, თამარი შქმერის კლდეს მიაშურებდა, თავის გამოქვაბულში ჩაიკეტებოდა და იქიდან გასცქეროდა შოთას მთას, რომელიც შოთას სახელს აგონებდა და დარდს ამით იქარვებდაო. თამარის კლდიდან ჭიათურამდე უწინ ხვრელი ყოფილა გაკეთებული და მას გამოჰყვებოდა ხოლმე თამარიო“ (ხალხური სიმღერე, ტ. III, 1964, გვ. 216).

ამ თქმულებებში კარგად ჩანს ფოლკლორული ექსტრაპოლაციის კვალი, ფაქტისა და გამოწვევის მხატვრული კონტამინირება, ამა თუ იმ კუთხის გარემოს მორგება ფანტაზირებისათვის (ამ უკანასკნელ თქმულებაში მოხერხებულად არის ჩართული შოთას მთის ხალხური ეტიმოლოგია, დაფუძნებული მის მსგავსებაზე პოეტის (შოთა // შოთა) სახელთან).

ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით დაკარგული თუ დაბინდული ისტორიული რეალები ხალხის მეხსიერებაში გადასულა და ისე გარდაქმნილა, ხშირად გარჩევა წიგნს, რა არის რეალობის ამსახველი და რა – ფანტაზიის ნაყოფი. თავის მხრივ, ეს გადმოცემები, ობიექტური მონაცემების არარსებობის გამო, როგორც ჩანს, „უკან უბრუნდებოდა“ წერილობით წყაროებს და ახალი ცთომილების შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომაც წიგნს გარკვევა, თუ რა უდევს საფუძვლად მოგვანი პერიოდის მნიშვნელოვან ცნობებს, წყაროების მიუთითებლად მოყვანილი. მაგალითად, იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ გვამცნობს: „შოთა რუსთაველი, მწერალთა უზუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო

ამ დროის მეჭურჭლეთუხუცესთა სავარაუდო ნუსხა. 1189-1221 წლებს შორის პერიოდში ამ თანამდებობის მფლობელი პირი მატიანევი არა ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯვრის მონასტრის სვინაქსარში მე-13 საუკუნის 1-ლი ნახევრის ჩანაწერში ვინმე შოთა ჩანს მეჭურჭლეთუხუცესად და, როგორც ვარაუდობენ, ის იგივე შოთა რუსთაველია, რომელიც ფრესკაზე გამოხატული. ამავე დროს, ნ. შოშიაშვილმა დაადგინა, რომ რუსთაველი მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე თორელთა სამფლობელო იყო და ეს ძლიერი გვარი ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი ჩანს სამეფო ხელისუფლებისა გიორგი მე-3-ისა და თამარის დროს. სწორედ ამ გვარის დანიშნულებასთან დაკავშირებს მკვლევარი შოთას სავარაუდო „რუსთაველობას“ და მეჭურჭლეთუხუცესობას (შოშიაშვილი 1966).

ამავე თვალსაზრისი განამტკიცებს შემდგომ რ. ფირცხალაშვილი, რომელმაც ახალი მასალების, სახელდობრ, სადგერის ეკლესიაში დაცული ნაშრომი ნინო ნანიანიანი ჯვრისა და სვიმეონ შოთას ძის ანდერძის ანალიზის საფუძველზე ნათელი გახადა შოთასძეთა



შოთაბა. თელავი. 1966 წელი, ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფოს-ლეთისმეტყველი, საღმრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსულისა და სომხურისა მცოდნე, უცხო ვარსკვლავთმცოდნე და ბუნების ისტორიათა მეცნიერი...“ და იგი თამარ მეფემ „უცხო მხარეთა მდივანად ყო“-ო (ბატონიშვილი 1948: 256).

აქ რამდენიმე ისეთი ახალი ინფორმაცია (მწერალთუხუცესი, ლეთისმეტყველი, ვარსკვლავთმრიცხველი, სომხურის მცოდნე...), რომელთა ობიექტურობის უკრტიკოდ დაჯერება შეუძლებელია და იმის თქმაც, რომ ისინი, უბრალოდ, პოეტის შემოქმედების გააზრებისა და რეინტერპრეტაციის შედეგად მიღებული დასკვნებია.

პოეტის ვინაობის შესახებ არსებობს რამდენიმე საყურადღებო მეცნიერული ვარაუდი. დავასახელოთ ზოგი გამოკვეთილი ვერსია:

მეცნიერთათვის ყველაზე უფრო მისაღებ (გაზიარებულ) ვარაუდს ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაკავშირება ისტორიულ მესხეთთან, კერძოდ კი – თორელთა სავარაუდო სახლთან. შოთას მესხური წარმომავლობის სხვადასხვა დროს ემხრობოდნენ დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, შ. ძიძიგური... მეტიც, მ. ჯანაშვილმა ივარაუდა პოეტის წარმოშობა თორელთა ცნობილი სავარაუდოდან, რასაც შემდეგ მხარს უჭერდნენ და არგუმენტებით გამამტკიცებდნენ ს. ცაიშვილი და ნ. შოშიაშვილი. ამ ვერსიის დასაბუთებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ნ. შოშიაშვილმა, რომლის ნაშრომი „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ (1966) ყველაზე უფრო არგუმენტირებულად წარმოადგენს საკითხს პოეტის ვინაობის შესახებ. იგი დაეყრდნო შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის ცნობას და აღადგინა

ისტორიული კავშირი თორელთა სავარაუდო სახლთან, ანუ იმავე შოთა რუსთაველთან (ფირცხალაშვილი 1987).

სარგის კაკაბაძის ჰიპოთეზით, რომელიც ხალხური ლეგენდების ფაქტოლოგიურ ინტერპრეტაციის წარმოგვდგენს, რუსთაველი და მისი ეპოქის ცნობილი მეხობე ჩახრუხაძე თქმული უნდა ყოფილიყვნენ, თამარის მანდატურთუხუცესის – ჭიაბერის შვილები; პოეტი წარმოშობით ყოფილა „სამცხის მიმდგომი ხევიდან“, გვარად ჩახრუხასძე, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს გაბელისძეთა გვარიდან. უნდა ითქვას, რომ შოთას „ჩახრუხაძეობა“ ზეპირი გადმოცემებისა უკავშირდება, რომელთა მიხედვითაც შოთას მამას რქმევია ჩახრახა თუ ჩახრახელი და ის, ხალხური ფანტაზიით, დაკავშირებულია სოფლის (ან უკვე ნასოფლარის) სახელთან „ჩახრახი“. მკვლევრის თვალსაზრისით, შოთას წინაპრები ჩახრახიდან გადმოსულან და დამკვიდრებულან მესხეთის რუსთაველში, საიდანაც მიიღო შოთამ ზედწოდება რუსთაველი. 1212 წლიდან გარდაცვალებამდე შოთა ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი; 1220-იან წლებში ნასულა იერუსალიმში (მანამდე ორგზის ყოფილა იქ სხვადასხვა მისიით), იქ გარდაცვლილა და ჯვრის მონასტერში დასაფლავებულა (კაკაბაძე 1966: 39-59 და სხვ.).

საყურადღებოა, რომ უფრო ადრე ს. კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის“ თმოგველთა სავარაუდო სახლთან აკავშირებდა და მათ მიიჩნევდა ამ წარმოშობის პროზაული ვერსიის შემქმნელებად (კაკაბაძე 1924: „სახიტორიო მოამბე“, 1).

კორნელი კეკელიძე ადრეულ პერიოდში შესაძლებლად მიიჩნევდა „ვეფხისტყაოსნის“

ავტორად სარგის თმოგველის აღიარებას (კეკელიძე 1931: „მნათობი“, №№ 7-10). საბოლოოდ გამოჩენილმა მეცნიერმა პოემის შინაარსი რუსუდანის მეფობის ხანას დაუკავშირა, მან ყველაზე უფრო მეტად დააძვირა რუსთაველის მოღვაწეობა თამარის ეპოქას; კერძოდ, იგი ასე აჯამებს საკუთარ თვალსაზრისს:

„ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსანი თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამართავენ რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს.

მას, პოემას, მხედველობაში აქვს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანა; ეს ხანა 1230 წელს არ უნდა სცილდებოდეს, რადგან ჯგუფად-დინის სიკვდილის შემდეგ 1238 წლამდე, როდესაც მონღოლებმა საბოლოოდ დაიპყრეს საქართველო, აქ შედარებით სიმშვიდეა, ყოველ შემთხვევაში, ისეთ საშინელებას აღარ აქვს ადგილი, როგორაც 1230 წლამდე ჰქონდა. აქედან ცხადია, პოეტიც ამავე დროს ცხოვრობდა. ის უეტყველია, თამარის მეფობის შეგნებულ თანამედროვე და მომსრე იყო. მას, როგორც თამარისა და მისი მეფობის „მაქებარს“, სურათი ფეოდალურ-არისტოკრატიული და ბრწყინვალე სამეფოსკარო ცხოვრებიდან... თამარის დროისა და სასახლის ცხოვრებიდან აქვს აღებული. ამიტომ, ფართო გაგებით, პოემა თამარის ეპოქის (და არა მეფობის) ნაწარმოებდაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ“ (კეკელიძე 1958: 159).

პაველ ინგოროვმა პოემის ავტორს აიგივეს ისტორიულ პიროვნებასთან – შოთა კუპრთან, რომელსაც მონღოლთა შემოსვლის დროს მემკვიდრე მოიხსენიებს როგორც შერეთის ერისთავს. მეცნიერის ვერსიით, ის ჯერ ყოფილა ქ. რუსთაველის მმართველი, შემდეგ კი გამხდარა ერისთავთ-ერისთავი აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთა – შერეთისა და რუსთაველის ოლქებისა. მკვლევარს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის მყარად აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია პოემის ავტორის ადგილის შესახებ იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში. კერძოდ, იგი „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემას დართულ ვრცელ ნარკვევში ამგვარად აჯამებდა საკუთარ პოზიციას:

„როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი? როდის არის დაწერილი მისი პოემა?

ამ კითხვაზე სრულიად გარკვეული პასუხი მოგვეპოვება.

შოთა რუსთაველი, როგორც ირკვევა, მე-12 საუკუნის მთელი ნახევარში და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. ვეფხისტყაოსანი დაწერილია მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე, დაახლოებით 1184-1207 წლებს შორის“ (ინგოროვა 1937).

აღნიშნულის საბუთად მკვლევარი „თვით პოემაში დაცულ რეალებს“ მოიხმობს, კერძოდ, ა) პროლოგის მიხედვით, ავტორს პოემა მიუძღვნია თამარ მეფისათვის, თამარი კი გამეფდა 1184 წელს და გარდაიცვალა 1213 წელს; ბ) ხვარაზმი ირანის სინონიმად მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე გამოიყენებოდა. გ) პოემაში არ ჩანან მონღოლები და არ დასტურდება მონღოლიზმები; დ) არ მოიხსენიება ლაშა-გიორგი, რომელიც მეფედის თანამმართველი იყო 1207 წლიდან.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში დათარიღების ზედა ზღვარის განმსაზღვრელ არგუმენტებზე არანაკლები ყურადღება გამახვილებული ვიდრე მოღვაწეობის რეალური დროის მიმანიშნებელ მონაცემებზე. შემდგომ კვლევებში პ. ინგოროვამ უფრო მეტად მიუსადაგა მე-12 საუკუნის მინუსიკულისა და მე-13 საუკუნის 1-ლი ნახევრის პერიპეტებს რუსთაველის ბიოგრაფია. ამის გათვალისწინებით, შოთა რუსთაველი იგივე შოთა კუპრა – ისტორიის მიხედვით ცნობილი შერეთის ერისთავი მე-13 საუკუნის 40-იან წლებში, მეცნიერის ვარაუდით, იგი შერეთის მმართველი ბაგრატიონების ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. იგი ჯერ ქალაქ რუსთაველის მფლობელი ყოფილა, საიდანაც მიუღია ზედწოდება „რუსთაველი“, ხოლო ამის შემდეგ გამხდარა შერეთისა და რუსთაველის ერისთავთ-ერისთავი. დაბადებულა 1165 თუ 1166

რუსთაველის იუბილე. ამისი დოკუმენტური მარჯვენაგველი კომიტეტის მიერ მომზადებულ 1966 წლის რუსთაველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელმაც ერთი სოლიდური ტომი შეადგინა და რომელიც 1300-მდე პუბლიკაციას მოიცავს.

ეს იუბილე მოიქცა დიდი პოეტის დაბადებიდან 800 წლისთავს და მასაც, წესისამებრ, წინ უძღოდა საქართველოს ცკ-ის 1965 წლის 16 იანვრის დადგენილება: „შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილე გაიმართოს 1966 წლის სექტემბერს“ (ინფორმაციის თანახმად, „ზეიმი დაიწყო 1966 წლის 25 სექტემბერს“.

ამგვარად, როგორც ოფიციალური გადაწყვეტილებები ადასტურებენ და როგორც სამეცნიერო დამონებებშია ნარჩენი, 1166 წელი შოთა რუსთაველის დაბადების წლად არის მიჩნეული.

როგორც უკვე ითქვა, ეს თარიღი სერიოზული გააზრების მეშვეობა, მის შესაძლებლობას მრავალმხრივ ამოწმებდა არაერთი გამოჩენილი რუსთაველოლოგი.

ამავე დროს, ისტორიისათვის მიმართება მინც ეჭვის საფუძველს იძლევა: პოეტს თამარზე წ წლით უმცროსი გამოდის; შესაბამისად, პოემა მას შემდეგ დაუნერხა, რაც ძირითადი ისტორიული პერიოდიტები უკვე ჩავლიდა, ანუ მე-12 ს-ის 90-იანი წლებში (ან – უფრო გვიან).

როგორც უკვე ითქვა, ყოველივე აღნიშნულის

კოლოზ გულაბერი სძეს. იქნებოდა თუ არა მათ შორის სრული თანხმობა ძირითად შეხედულებებში, ეს ცალკე გააზრებას მოითხოვს.

ამ კონტექსტის გარეშე, თუ ნაწარმოების შინაარსს სრულად, სრულყოფილად გავითვალისწინებთ, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის როლისა და ადგილის გააზრება მე-12 საუკუნის გადაწყვეტილების ისტორიულ პროცესებში ფრიად ხელმოწერას და, მეტიც, შეუფერებელ ინტერპრეტაციებს უდებს სათავეს.

არსებობს ასევე გარკვეული ფაქტოლოგია, რომლის გათვალისწინებაც აუცილებლად სახავენდენ ისტორიისათვის პოემის მიმართებაზე საუბრისას. კერძოდ, ასეთად მიჩნეულია პოემის საფარაუდო კავშირი სპარსულ ეპოსთან „ლეილი და მაჯნუნი“. მაგალითად, ცნობილი რუსთაველოლოგი ალ. ბარამიძე აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზულია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ზეობის ხანაში, ე. ი. 1189-1207 წლებს შორის... ამ დათარიღებას ემთხვევა ლიტერატურის ისტორიის მონაცემები. რუსთაველი იცნობდა ნიხამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნი“, რომელიც დაიწერა 1188 წელს“ (ბარამიძე 1966: 36).

იგიულისხმება, რომ რუსთაველის უმნიშვნელოვანესი ცნებები მიჯნური და მიჯნურობა ამ ლიტერატურული წყაროდან მომდინარეობს. ფრიად ნიხამდობლივია, რომ რაინდული „სიყვარული“ იდეას პოეტი ძირითადად სწორედ ამ არაქართული ენობრივი ერთეულებით (ცნებებით) გამოხატავს. მაგრამ არაწარმოებულად არა გვაქვს, რომ ამის უშუალო წყაროდ აღნიშნული ლიტერატურული ძეგლი დავასახელოთ.

საქმე ის არის, რომ ლეილისა და მაჯნუნის სატრფიალო თქმულებები სპარსულში არაბული წარმომავლობისა და ისინი ნიხამდობლივად იდები ნით ადრე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ისლამურ სამ-

მეობში მის მკვლევარს ყურადღება მიუქცევია ორი მისი მეტოქის განქიქებისათვის შემდეგი სიტყვებით: „ჩემი გულის დარდის მიზეზი დღეთა ჩარხის ტრიალი კი არ არის, (არამედ) საქციელი განჯელი ძაღლისა და ძრახვა რუსთას (ხმრ-ერუსთა) ვირის“ მკვლევარს დაუსვამს საკითხი „რუსთას ვირად“ ხაკანი რუსთაველს ხომ არ გულისხმობს? თუმცა ეს საჭეუბრე არის მისგან მიჩნეული, მაგრამ მაინც ნათქვამია: თუ დასაშვებია რუსთაველისა და ხაკანის ნაცნობობა და შეხვედრა, ამას ადგილი უნდა ჰქონოდა არაუგვიანეს 1174 წლისათვის (Сборник Руставели, изд. Груз. Филлиала Акад. Наук, გვ. 21-27) (კეკელიძე 1958: 159 სქ.).

კ. კეკელიძისათვის ეს შესაძლებლობა, ცხადია, მიუღებელია, რამდენადაც მისეულ ქრონოლოგიას არ ეთანხმება. მაგრამ თუ მაინც რეალურად გავიანზრებთ ამ ვარაუდს, გამოდის, რომ ხაკანი, უპირველესად, საკუთარ ასაკს უსვამს ხაზს იმითავე მიმართებით, ვისაც ემდურის; ეს „უსაქციელი ახალგაზრდები“ კი, ვინც თურმე სახელგანთქმულ პოეტს მოსვენებას არ აძლევს, ყოფილან ნიხამი განჯელი და ვინმე – რუსთადან. დავაკვირდეთ ხაკანისა (1120-1190) და ნიხამის (1141-1203/09) ასაკობრივ მიმართებას. ამის მიხედვით, რუსთა (საფარაუდოდ – რუსთაველი), რომელსაც განსაკუთრებით შეუწუხებია („ძრახვა“ გაუბედავს) სახელგანთქმული ხაკანი, სწორედ ნიხამის თანამედროვე მისასპარეუვ ჩანს იმდროინდელ პოეტურ არენაზე.

ზემოხსენიებულივე ავტორის ერთი საინტერესო პარალელიც მოჰყავს. იგი იმონებებს ნ. მარის მიერ მითითებულ „ვეფხისტყაოსნისეული“ უმნიშვნელოვანესი აფორიზმის „ლეილი ლომისა სწორია, ძუ იყო, თუნდა ხვადია“ გამოძახილს ნიხამი განჯელთან (მარი 1917: 421). ამავე დროს მითითებს, რომ ამგვარი აზრი ასევე გამოთქმულია ხაკანის ერთ-ერთი სასოტოო ლექსში შირვანშაჰის დედოფლისადმი: „Цари в делах государства – что мужчина, что женщина, Львы в бюу – что самец, что самка“ (ჩაიკინი 1938: 27).

კ. კეკელიძეს ისტორიული ლოკალიზაციისათვის კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი აქვს: ხვარაზმში და სპარსეთში პოემაში სინონიმებია; ახალი ხვარაზმთა დინასტიის დამყარებას კი ადგილი ჰქონდა 1194 წელს. მამასადავამე, ამაზე ადრე პოემა ვერ დაიწერებოდა (კეკელიძე 1958: 152).

ჯერ ერთი, ეს დაზუსტება ალბათ უფრო პავლე ინგოროყვას პოზიციას ამყარებს; მეორეც, უთუოდ შეუძლებელია, პოემის მხატვრულ პრობითობებში უსუსტი ისტორიული დამოხვევები ვეძებოთ. ცნობილია, რომ ე. წ. დიდი ხვარაზმშაჰის დინასტია ფეოდალური ხვარაზმის დედაქალაქ ურგენწში მე-11 საუკუნის დასასრულიდან გაემეფდა და საესებით შესაძლებელია პოემისეული ხვარაზმის დიდების წყარო ესეც იყოს.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური ისტორიული დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მართლაც გვაცხებდეს რუსთაველის ბიოგრაფიის კვალზე, როგორც ითქვა, ეს არის ფრესკული გამოსახულება, აღბეჭდილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე. ამავე დროს, ჯვრის მონასტრის სვიანქსარის ნიგნში ასახულია „ალაპი შოთასა მეჭურჭლეთუხუცესისა“.

ამ ფაქტებმა განაპირობა ორგვარი ვარაუდის ჩამოყალიბება: 1. შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო თამარის დროის მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ღვანლი ჯვრის მონასტრის მიმართ დაფასებულა ფრესკითა და მოსახსენიებით; 2. პოეტს თავისი განდევნილი ცხოვრება დაუსრულებია იერუსალიმში და ამ მონაცემზე უნდა დაკრძალულიყო.

მკვლევართათვის, როგორც ჩანს, პირველი შესაძლებლობა უფრო მისაღებია. მათი აზრით, სწორედ ამ ფაქტს უნდა მიეცა საფუძველი ისეთი ლეგენდების შექმნისათვის, რომლებიც ლაღადგენ პოეტის ბერად შედგომისა, ჯვრის მონასტერში მის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. მოკლედ – ზოგი მეორეული ინფორმაციის შესახებ:

ტიმოთე გაბაშვილმა – ცნობილმა ქართველმა მწერალმა და მოგზაურმა – ჯვრის მონასტერი მოინახულა და იქ არსებული სიძველეები აღწერა 1757-58 წლებში. იგი ამ საკითხის შესახებ



შოთაბა მუსხში 1937 წელი

წერს: „ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვისიანაც შიგ ხატია მოხუცებული“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის მონასტერში არსებობდა ინფორმაცია, რომელიც შოთა რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობას ადასტურებდა. ამისი შესაძლებლობა არსებობს, თუკი გავითვალისწინებთ,

რომ „შოთას ალაპის“ შექმნის დრო XII-XIII საუკუნეთა მიჯნას ვარაუდობენ (ელ. ბერძენელი).

მსგავსევე თვალსაზრისი აქვს განვითარებული თეიმურაზ ბაგრატიონს, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველი, ანუ მეჭურჭლეთუხუცესი (აქაც გაიგივება!) „წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღმენებულ არს სახელსა ზედა ცხოველსყოფელისა ჯვარისასა, და განახალა მონასტერი იგი... და იყოოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულეზადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა... და დაეფლა მუწვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შინაგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და შინანს ვიდრე მოდენდელად დღემდე“.

როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში უკვე ერთმანეთს ერწყმის რეალური ინფორმაციებისა და მათი ლოგიკური დაკავშირებისა და ვარაუდების სრული შესაძლებლობა. ფაქტობრივ, ამ ფარგლებში ტრიალებს მეცნიერული თუ, უბრალოდ, გონებაშახველი თვალსაზრისები დიდი პოეტის შესაძლო ბედის შესახებ.

კ. კეკელიძე მეცნიერული ეჭვით უყურებს გამოცემებისა და წერილობითი ცნობების ამგვარ გადაჯვანებას: „ამგვარად, ქართველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეხვედრიან ერთმანეთს ტრადიციალურად, მეჭურჭლეთუხუცესი რუსთაველი“ და სვიანქსარის „მეჭურჭლეთუხუცესი შოთა“, აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ შოთა და რუსთაველი ერთი და იგივე პირია. სახელდობრ, ვეფხისტყაოსნის ავტორი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დასკვნა, რომელსაც, პირველ ყოვლისა, თვით ჯვარის მონასტერი უნდა ეჩინა თავი, თეიმურაზმა გაიგო მასთან ძალიან დაახლოვებით, ერთხელ მისი პირადი მდინების, ნიკიფორე ან ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილისაგან, რომელიც 1614-1626 წლებში ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო 1643-1649 წლებში დასახლებული მონასტრის წინამძღვრად, „ჯვარის მამად“ იყო. ეს დასკვნა მერე, 1643 წლის მახლობლად, ნიკიფორემ გადმოიტანა ჯვარის მონასტრის სვეტზე, სადაც გამოხატულია მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, რომელთა წინამძღვრე მუხლი მოუყვანა ერთ დიდებულ ქართველს, წარწერით: „ამისა დამხატვალსა შეუწდის ლმერთან ამინ“. ეს წარწერა სურათის მარცხენა მხარეზეა, ხოლო მარჯვენაზე, ალბათ, ქართველის ვინაობის გასარკვევად, მიწერილია: „შოთა რუსთაველი“ (კეკელიძე 1958: 112).

იერუსალიმის მხოლოდ ობიექტური ფაქტოლოგიით რომ ვისარგებლოთ, შეიძლება მართლაც გავაიგივოთ ერთმანეთთან პოემის ავტორის, ფრესკის „დამხატვალისა“ და მოსახსენიების მეჭურჭლეთუხუცესის პიროვნება. მაშინ: თუ პოეტი შოთა რუსთაველი მართლაც ყოფილა თამარის მეჭურჭლეთუხუცესი და მას უფლებამოსილება ჰქონია მინიჭებული გაემევენებინა იერუსალიმის მონასტერი, ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ თამარის სიცოცხლეში, ანუ 1207 წლამდე. არსებული ქრონოლოგიის მიხედვით, რუსთაველი მაშინ იქნებოდა მაქსიმუმ 41 წლის (1207 – 1166 = 41). მაშ როგორ გამაჩნდება „ღრმად მოხუცებული“ (როგორც ფრესკაზეა)?

უკვე ვთქვით, რომ პოემაში, უპირველეს ყოვლისა, ახალი სახელმწიფო იდეა გამოხატული (ქალის გამეფების და ძალთა შესაბამისი განლაგება). შესაბამისად, ნაწარმოები კონცეპტუალური, ფილოსოფიური მიზანდასახულებული თხზულებაა და მისი მნიშვნელობა ამ სტრატეგიულ განაზრახვასთან არის დაკავშირებული.

ისტორიის რეტორიკულ-პოეტური – პირდაპირი ან ირიბი – აღბეჭდვა, როგორცადაც იკითხებოდა რუსთაველის შემოქმედებითი ნაღვანი, თავისი მნიშვნელობით ამგვარ მიზანდასახულებას, ცხადია, ვერ გაუტოლდება.

საზოგადოდ, ისეთი აქტიური, ბოპოქარი პოლიტიკური პროცესების დროს, როგორცადაც XII საუკუნის ბოლო მეოთხედი (თამარის მოღვაწეობის დასაწყისი) წარმოგვიდგება, მართლაც შეუძლებელია, რომ ისეთი რანგის მოაზროვნე და სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი პიროვნება, ისეთი ავტორიტეტული ფიგურა, როგორცადაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვევლინება, რამდენადაც მონწყვეტილი ყოფილიყო იმდროინდელ ეროვნულ ძალთა განლაგებისაგან.

პირიქით, თავისი ნაწარმოების მიხედვით, იგი აშკარად იკვეთება როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფეოდალური ფრთის იდეოლოგი, რომელიც, უპირველესად, ქვეყნის ძალაუფლების ავტონომიურობის შენარჩუნების მომხრეა.

და თუ ეს ასე იყო, შეუძლებელია მას თავისი წილი (არცთუ – უმნიშვნელო) „პასუხი“ არ მიეცა დაპირისპირებული და მოვლენათა შედეგად გააღიერებული სახელისუფლებო ძალებისაგან, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა არცთუ შორეული ისტორიის ისეთი „გაფერმკრთალება“, როგორც რუსთაველის პიროვნულ ბედთან არის დაკავშირებული.

ამდენად, შეიძლება ვთქვაოთ, რომ რუსთაველი, როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული დიდგვაროვანი და აქტიური მოაზროვნე, სახელისუფლებო კოლინის უშუალო მონაწილე აღმოჩნდა, მთელი თავისი უმჯობესი დღეებით.

ამგვარი ვარაუდი პოემის მიმართებისა არ-

დასასრული გვ. 11 ▶

ქართული სინამდვილე

საფუძველი იყო ნაწარმოების იდეური და სიუჟეტური ქარგის ახსნა ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ისტორიულ ამოსვლით, ნაწარმოების ცალკეული პასაჟების მიჩნევით რეალური ისტორიული მოვლენების ასახვად, გამოძახილად. ვფიქრობთ, შესაძლებელია ისტორია ნავიკითხვით პირიქით – ამ გენიალური ნაწარმოების იდეური განაზრახვისა და სიუჟეტურ მოცემულობათა, როგორც თეორიული კონტრუქციის, გააზრების გზით.

ამისათვის ამოსავალი უნდა იყოს გააზრება იმისა, თუ რა არის გენიალური ავტორის იდეური განაზრახვი, ანუ ნაწარმოების წარმმართველი, მაგნიტორიული იდეა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სახელმწიფოს იდეა. პოეტის შემოქმედებითი განაზრახვი სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურება. ყველა სხვა მალაღი იდეალი (მიჯნურობა, მეგობრობა...) ამ იდეას უკავშირდება და ავსებს (ასახროვებს). უპირველესად ამ ნაწარმოების სამსახურში დგას ნაწარმოების რთული შინაარსობრივი ხლართი, სამმაგი სიუჟეტური კოლიზია (ინდოეთი, არაბეთი, გულანშარო). როგორც აღმოსავლური რომანები გვიჩვენებს, სამიჯნურო გამოცდა სულაც არ მოიხზვის რაღაც განსაკუთრებულ ფაბულურ ხლართებს და „ამოხსნებს“. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველისეული შემოქმედებითი შიფრ-სქემა ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი გასაღების პოვნას გულისხმობს – თანაც, რაც მთავარია, კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

ამ თვალსაზრისით ეს გენიალური ქმნილება მთლიანად ენერება იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელშიც ამოცანად იქნა დასახული ქალი უფლისწულის აღსაყდრების იდეოლოგიური მომზადება და რომელსაც, როგორც საგანგებო, საზეო დავალებას, ფილოსოფიურ-შემოქმედებითი ამოსახსანიდ გაიხდის რჩეული-სემიოლოგი და შემოქმედებითი ელიტა კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერიძის წინამძღვრობით. ეს იდეოლოგიური ამოცანა თავისთავშივე გულისხმობს სერიოზულ თეორიულსა და ნებელობითს ოპონირებას.

ნიკოლოზი კათოლიკოსის თანამდებობას იკავებდა ორგზის: ჯერ 1149-1178 წლებში. შემდეგ „სიმდაბლისათვის“ გადამდგარა და სამოღვაწეოდ წასულა ათონსა და ჯვრის მონასტერში (მისი მოსახსენიებელიც დაცულია ჯვრის მონასტრის სააღაპე ნიგნში). 1184 წელს, თამარ მეფის მოწვევით, დაბრუნებულა და სათავეში ჩასდგომია საეკლესიო ცვლილებებს; როგორც ჩანს, იგი ეროვნულ ეკლესიას ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე, დაახლოებით 1190 წლამდე.

თუ დავაკვირდებით, ახალი სახელმწიფოებრივი იდეის ყველაზე აქტიური პერიოდი უნდა მოდიოდეს გულაბერიძის პირველი მღვდელმთავრობის ბოლო ანალოგზე. ლოგიკურია, სწორედ ამ დროს დაუეკავებოთ შოთა რუსთაველის აქტიური შემოსვლა ეროვნულ იდეოლოგიურ ფრონტზე, რომლის წარმმართველი აქცენტიც უთუოდ ეყრა შოთა რუსთაველის უფროს კოლეგასა და, ეგებ მოძღვარსაც – ნი-

ყაროში. ნიხამის ეს ნაწარმოები შირვანშაჰ აღსართან მე-ნ-ის დავალებით დაუნერხა (თურმე პოეტს ვერც მიჰქონდა გულთან ეს უცხო, შაჰის შეკვეთით ხორცმცმასახმელი ლეგენდა: „ლეილისა და მაჯნუნის ამბავი ცნობილი კია, მაგრამ რად გინდა, ნიშატი არ აცხია... ამ ამბავში ნალკოტეზი არ ფშვენენ და შიგ სამეფო ნადიმები არაა გაჩაღებული... ურნჯული ქვიშათა და ტიტველ კლდეთა შესახებ რამდენ ხანს გინდა ილექსო“). არაბულ წყაროებში ლეილისა და მაჯნუნის სატრფიალო თქმულებები მე-9 საუკუნეშიდან (იბნ ყუთაბა და სხვ.) დასტურდება. საეპოლისხმოა, რომ ამ მნიშვნელოვანი ცნების არაბულ წარმომავლობას თავად რუსთაველი უსვამს ხაზს: „მიჯნური შმაგსა გვექვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს...“ და ამ სიტყვის ქართული ფონეტიკური ფორმაც და – უთუოდ – სემანტიკაც მიანიშნებს, რომ მისი წყარო მაინცდამაინც სპარსული ლიტერატურული გმირის სახელი მაჯნუნ- არ უნდა იყოს. მიჯნურ- საზოგადო სახელების მიღება მაჯნუნ- მნიგნობრული საკუთარი სახელისაგან ვერანაირ დასაბუთებას ვერ პოუვებს. როგორც ჩანს, ეს ცნება ზუპირი წყაროებით შემოვიდა ქართულ სინამდვილეში და რუსთაველის გენიამ შესძინა მალაღი განზოგადებული შინაარსი.

ამდენად, აშკარაა, რომ ამ არგუმენტის „სიმყარე“ ნიხამის გავლენის სასარგებლოდ ფრიად საეჭვოა.

არსებობს ვარაუდი, რომ ცნობილი სპარსი პოეტი ხაკანი შირვანელი ნიხამთან ერთად რუსთაველსაც უნდა ახსენებდეს მეტაფორულად ერთ-ერთ ტაეპში. სახელდობრ, კ. ჩაიკინი ქართულ-ორანულ პარალელებში ხაკანის იმ გესლიან ყასიდსაც იხსენებს, რომელიც უცხოელს ლად ეხება ნიხამი განჯელს და მასთან ერთად, სავარაუდოდ, რუსთაველს. ხაკანი მისთვის და-მახასიათებელი ბასრი მეტაფორებით ამკობს ორ მეტოქეს (რუსული თარგმანის მიხედვით):

Причина скорби моего сердца не круговращение дней, (Но) поступки пса из Ганджи, хула осла из Руста

.....

Этот словно муха отравляет словесную пишу, А тот словно саранча уничтожает всходы на посевах веры...

მკვლევარი საკმაოდ ფრთხილად ეკიდება ამ დაკავშირებას: „რუსტა“ სპარსულად „სოფელს“ ნიშნავს და შესიტყვება შეგვეძლო გვეთარგმნა როგორც „სოფელი ვირი“, მაგრამ მისი პოეტური ენისათვის დამახასიათებელი სემანტიკური პარალელიზმი გვაფიქრებინებს, რომ „რუსტა“ სიტყვაში საზოგადო სახელი კი არა, გეოგრაფიული სახელწოდება დაივანახოთ. და იქვე დასძენს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტილად გამოცხადება ნამდვილად შეუძლებელია (ჩაიკინი 1938: 25).

ამ ცნობას კ. კეკელიძე ამგვარად აფასებდა: „სპარსული პოეტის ხაკანის ერთ-ერთ ნაწარ-

პროზა

ანჟორ სიფრაშვილი

გაგრძელება. დასაწყ. ნინა ნომერში

ივანე ფიქრის კარგა ხანს დასტრიალებდა განძას, ხან თითქოს ქორს მიანიჭა თავისი თვალებით, ზემოდან დასცქეროდა ქალაქს, ვეება ციხეს და სქელ, განიერ ბურჯებს, ხან ალაყფთან ჩერდებოდა და მის რკინით შეჭვრულ კარს ათვალთვლიერებდა, იმ კარს, რომელიც განძის ამირამ დემეტრე მეფის მიერ ჩამოღობის შემდეგ მალევე გააკეთებინა და ჩამოაკიდებინა, იმედი ჰქონდა რა, რომ მას ქართველები ვერც შეხსნიდნენ და ვერც შელენდნენ, მაგრამ ახლა სწორედ ივანე ორბელმა გაუმტყუნა მას ეს იმედი.

ახლა აივანზე მჯდარი ივანე სწორედ იმ გვირავს იგონებდა, რომლის გათხრასაც მისი მოლაშქრენი ერთი მსგეფისი მანძილზე დღედაღამ ეწეოდნენ, მაგრამ, ამაო დაძვრუნ, რადგან ერთადერთი, — გალაგის საძირკველი შიგნით, უკვე შელენული იყვნენ. უცერად მინა ჩამოიშალა და ათი-თორმეტი მემოინა ქვეშ მოიყოლა, ისინი უბრალოდ ჩამოარხნენ მინამ. გამწარებულმა ამირსპასალარმა ბრძანა, მეორე დღითვე ნა-მოეწყოს ციხის იერიში, ერთობლივად შეეცაი და, რადაც არ უნდა დასჯდომოდან, ქალაქი ხელით ეცდოთ, რომლის უფროსმა ჯერ კიდევ სამიოთხი დღის წინ დაწებებულ უარი შემოუთვალა.

იერიში ყოველმხრივ იყო, მძლავრი და სასტიკი. გავეშებულნი უტყვედნენ მოალყენი, ისინი მანქანებით ქვებსა და ცეცხლოვან ბურთებს ესროდნენ, მალე კიბებზე მიძვრებოდნენ, ალაყფის სქელ კარებს, მტრის ისრების ქვეშ, ვეება ბოძს ურტყამდნენ, კაუჭიან თოკებს სტყორცვნიდნენ, რომელთა ერთი ნაწილი ქონგურებს ნამოედებოდა ხოლმე და მეტრობლებიც მუშაობივით ზედ მიძვრებოდნენ. ხოლო მეციხოვნენი.. ვინ იცის, მათ მღულარე ქონით და კუპრით სავსე რამდენი ვეება ქვაბი გადმოასხეს მალედაც, რამდენი ლოდი გადმოაგდეს, მოზრდილი ხეები გადმოყარეს და კიბებზე ამძვრალი თავდასხმელნი კიტრებით გადმოიროლეს, ზედაც მკვდარ აქლემებსა და ვირებს აყრდნენ და მოალყებს მასხარად იგდებდნენ!

მაგრამ როდემდე გაუძლებდნენ მოძალეებს? მშვილდს მოდრეკ, მოდრეკ, მაგრამ ბოლოს ძალას დაემორჩილება და გატყდება. ცხენი იჭყნებს, იჭყნებს და თუ ძალა არ მოიკრიბა, დაეარდება.

მეციხოვნენიც აგრე გატყდნენ და დაეარდნენ. ერთი დღე გაუძლეს, მეორე დღეც, მესამე დღეს კი მოციქულნი გამოგზავნენ და მორჩილება შემოუთვალეს.

მოულოდნელად ქარი ამოვარდა და აივანზე მჯდარ ივანეს შიშველი მკერდი დაეცა. ვეება მუხებზე უცებ შეტრტმანდნენ, გუგუნი დაიხყეს, ერთმანეთი გადახლართეს ბეჭერი ტოტები, ვეფხვებით ნამოიყალყენ და მძლავრი ქარიშხლის შემოთამაშებას ერთხმად აპყენ, აჭრიალდნენ, აბობოქრდნენ და, შორიდან ისე ჩანდნენ, თითქოს ცასა და დედამიწას მუშტების ქნევით ეშუქებოდნენ.

არ გასულა მცირე ჟამიც და ახლა თქემი ნამოვიდა, კოკისპირული, რომელმაც მალა ციდანვე მოილო შირილი, თითქოს სეტყვა გადმოიფრქვა და მრისხანედ დაატყდა თავს სულიერსა თუ უსულოს, მოძრავსა თუ უძრავს. იმდენად ძლიერი იყო ბუნების ეს მრისხანება, რომ ადამიანს ეგონებოდა, ევრაფერი გაუძლებს ამ გავეშებულ დღეგამს და არაფერი გადაურჩებაო, ხოლო ჩამავეშულ, ტყვიისფერ ღრუბლებში ევრა რომ ცეცხლის ალივით გავარდებოდა ხოლმე, გეგონებოდა ჯოჯოხეთის ალმა ამოხეთქა და ყველაფერს შთანთქმას უპირებსო.

უცებ გაჩნდა ნაკადული, რომლებიც თავქვე გიფურად მობობდნენ, ერთმანეთს ერთვოდნენ, მერმე ისევე ორად იყოფოდნენ და თავპირისმტვრევით გარბოდნენ, დაღმა ეშვებოდნენ და თან მოზნობილი ბალახები, ბუნქები, მცირე ზომის ხეები მოჰქონდათ, ქვეშ მოაგროვდნენ და ხვეში ჩანქქერებად გადადიოდნენ, ხოლო ხევი, რომელიც სასახლეს მორიახლოს ჩაუდგოდა, ღვარად მოვარდნილმა წყალმა მალე თითქმის ერთიანად გაავსო.

ივანეს წვიმა ასხამდა სახეში, მხრებზე, ხელებზე, თავზე და მალე სულ ერთიანად დაასველა, მაგრამ მას მანაც ფიქრადაც არ მოსვლია ან ადგილის შეცვლა, ან თავზე რამეს ნაფარება: ძალზე უყვარდა ბუნების ამგვარი უცარი აბობოქრება, აგუგუნება, აზრიალება, რადგანაც მისთვის ესეც ომი იყო, ომი სიმშვიდისა, სინყარისა და იმ დაუღვევარ ძალას შორის, რომელიც ყველაფერს ააყრავეს, შეცვლის, გარდასახავს.

დაიხ, ივანეს ახლა სწორედ სინყარისა და სიმშვიდის შეცვლა სურდა, ბრძოლა სურდა, შეტყება და შეჯახება სურდა, რათა იმ მიზნისთვის მიეღწია, ჯერ კიდევ ამ ათი-თორმეტი წლის წინ რომ ჩაიდო გულში. იგი ალხევებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო ალხევება სურდა; დიდებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დიდება უნდა; ძალაუფლებას ფლობდა, მაგრამ უფრო მეტ, უფრო ყოვლისმომცველ ძალაუფლებას ესწრაფოდა.

გრიალს გადაველო, ჯერაც შესაბრალოსად ქრიალებდნენ მუხის ხეები და ჭადრები, ცაზე ისევ იკლავებოდა ელვა, სადღაც შორს ისევ გრიალბედა მეხი, რომ ივანეს მოახსენეს, მეჭურჭლეთუხუცესი ერისთავთ-ერისთავი ივანე ვარდანიძემ მოზნადა მრავალრიცხოვანი ამალით. ამირსპასალარი მყისვე თავის პალატისკენ გაემართა, რათა აველი სამოსის ნაცვლად მშრალი და უფრო ძვირფასი ჩაცვდა და საპატიო სტუმარს სათაწოდ შეეგებოდა. მსახურებს უკვე აერთო ბუხარი, რომელშიც მოზრდილი ხმელი კუნძები გიზგიზებდა და დიდ დარბაზს საამო სითოსა და სინათლეს ჰჭვნიდა, რასაც ირმის რქის მანდლებზე დამაგრებული ვეება კლაპატრებიც ერთვოდა და ბუხრის წინ უფრო განათებული იყო, ვიდრე გარეთ, სადაც სინამდვილეში ჯერ საღამო არ დამდგარიყო, მაგრამ მოლუქულ ზეცას თავპირი ერთიანად ჩამობნელებოდა.

ივანე ვარდანიძემ იმგვარი მზერით შეხვდა ამირსპასალარს, როგორც რალაცის მოლოდინე ადამიანებს აქვთ: ყურადღებით, მოლოდინით, დადარაჯებული სმენით, ის კი არა, ამ მალალკაცს კისერიც კი ნაეგრძელებია და ოდნავ ბეჭებში მოზნობილი მოდიფიკა, თან თავდაც დაკვირვებით შემოსცქეროდა მასპინძელს, თითქოს

და ამ ორმა დიდებულმა ისე ტკბოდნენ დაინერსაუბარი, მსმენელს ეგონებოდა, თავიანთი შვილების ნათლობაზე ელაპარაკებინ ერთმანეთსო.

— ახლა სად ბრძანდება მეფე? — ისე მიაძიტურად იკითხა ივანე ორბელმა, რომ ყველაზე ერთგული მსახური გეგონებოდათ მეფისა და თავად ივანე ორბელსაც ასე მოეჩვენა, ის კი არა, ნამით ეტყვიც კი ჩაუსახლდა გულში: ემანდ ჩემი განზრახვა ისეთი კაცს არ გაეანდო, ზვალევი გიორგი მეფეს სიტყვა-სიტყვით არ ჩაუთქვალს, რასაც ახლა ვეტყვიც, მაგრამ კარგად იცოდა რა, რომ ვარდანიძეც ისეთივე უპატიოფილო იყო მეფისა, როგორც არაერთი სხვა დიდებული — სწორედ ისინი, ვინც ამ საღამოს ჰყავდა მონეული სათათბიროდ, — ამიტომ უფრო გაბედულად და გულბედ დანიყო საუბარი და მებრძოლ საკუთარი გეგმაც გადაუშალა მეჭურჭლეთუხუცესს, რომელიც ყურადღებით უსმინდა და ხშირად პირდაპირ თვალეში შესცქეროდა. როგორც ვთქვი, ორბელს პირველ რიგში სურდა სწორედ ეს გავლენიანი დიდმოსხელ მიემზრო, რომელიც სხვა დიდებულს უეჭველ მაგალითს მისცემდა მეფის ნინააღმდეგ ეთექმულეებაში მონაწილეობისთვის. — დიდი მეჭურჭლეთუხუცესო, ვინც თავისი ქველბით საყოველთაოდაა ცნობილი და ალი

რომლითაც ჩვენ, ყოველ დიდებულს, და პირველ რიგში კი მე, დიდ ორბელს, მცირეპასაკოვან დემნას პატრონობა გვიბრძანა. თუმცა ზოგი რამ, რაც დავით მეფემ მაშინ ბრძანა, არ იყო სარწმუნო და ეს ყოველმა ჩვენივანამა კარგად ვუნყოფილი.

ორბელმა ყურადღებით შემოხვდა: — რაზე ბრძანებდა მაგას, დიდი ვარდანიძე? — გახსოვს, ამირსპასალარო, სასიკვდილო სარეცელზე რომ იწვა, დავით მეფემ მცირედილი სიკრუის უფლება მისცა თავს, როცა ბრძანა: „მამამ ჩემმან უამსა სიკვდილისაო, მომშალა მე მეფობაო“. ხომ ვუნყით ყველამ, დიდ დემეტრე მეფეს, ძესა დავითისასა, უფროსი ძისთვის, დავითისთვის დიახაც არ სურდა მეფობა ემბო, რამეთუ არ მაინადა შესაფერისად ტახტისთვის იგი.

— ეგ მეც მეუცხოვრა მაშინ, გარნა ვინ შეჰყადრებდა ტყუილს ამბობო? ისიც მართალია, დემეტრეს ტახტი არა მისთვის, არამედ უმცროსი ძის, გიორგისთვის, ჩვენი მეფისთვის უფრო ემეტებოდა. მაინა, დავითი არა ღირსეულ იყო მეფობისათვის საქართველოსა.

— მე გგონია, რომ ეგ მას მერმე იზრახა დემეტრემ, რაც დავითი ხადირობისას ცხენიდან გადმოვარდა და მარჯვენა ფეხი იღრო. მას შემდეგ მცირედ კოჭლებდა იგი, და იქნებ სწორედ ამიტომ ათევალებუნა დემეტრემ, რადგან ორთაბრძოლისას ფრიად შესამწნევედ ეტყობოდა ეს ნაკლი.

— ვინ იცის, იქნებ მართალს ბრძანებ, დიდი ორბელო, — ივარაუდა ვარდანიძემ, — მოგახსენება, ბევრ ქვეყანაში სწორედ მაგვარი ნაკლის გამო ტახტს განაშორებენ ხოლმე უფლისწულთ. განსაკუთრებით სპარსთა შკონით ავითი წესი.

— ზოდა, იქნებ ამის გამო, იქნებ სხვა მიზეზითაც, დიდ დემეტრეს არ ნებავდა უფროსი ძისთვის ტახტის ბოძება, მან კი ვგაუწყა: „მამამან მომშალა მეფობაო“, გარნა ჩვენ ხომ ვუნყით, როგორ აიძულა მეფობაზე უარი განეცხადებინა მისთვის დიდ დემეტრეს, რომელიც მებრძო ბერად ალიკვეცა დავით-გარეჯაში.

— მაგრამ მე სხვა რამეს ვიხსენებ, დიდი ვარდანიძე, — თავის კალაპოტში გადაავლო ორბელმა სიტყვა, — გაიხსენე, რა უთხრა დავითმა უკანასკნელ წუთებში თვისსა ძმას, გიორგის: „მეცა უამსა ამას მოახლოებულ არ აღსასრულსა, ხოლო შენ, ძმაო გიორგი, არა გაქვს ნაწილი და რიცხვი საყდარსა ამასო“.

— და მერმე: „საყდარი ესე და სამეფო ძისა ჩემისათვის დიმიტრისა მიმიცემისო“. აგრე იყო ხომ?

— ჭერმმარტად აგრე იყო, დიდი ვარდანიძეო, და ისიც გეხსომება კარგად, რომ დასძინა გიორგისადმი მეფემან დავით: „იყოს შენდა სამკვიდრებელი ესე, ვიდრე აღიზარდოს ყრმა ჩემიო“!

— იყო ესრეთ! მახსოვს, დიდი, მახსოვს, და იგიცა, ყრმისა თვისისა ხელი რომ მოგცა შენთა ხელთა, ამირსპასალარო. შენცა შეჰვციე, თავს დავებე შენის ბრძანებისა აღსასრულელად და ჩვენცა შევეციე არა ზაკვა გვეყო ყრმისათვის მისისა. და გიორგიმაც შეჰვციე, ოდეს ასაკულ იქმნას დემნა, ვცხო მას მეფობაო!

ამ უკანასკნელ სიტყვებს კიდევ ერთი სტუმარი შემოესწრო, რომელმაც ის იყო შემოაბიჯა დარბაზში და მასპინძლის მსახურს, რომელიც ჩინაღდნი თხლებში წინ მიჰყავდა, ხელით ანიშნა, გაბრუნდო, მაგრამ მან ჯერ სანათის კედელში ჩამაგრება იჩქარა და მერმე პატრონს გამოხედა, რას მიზრძანებო. ივანემ მართლაც მაგვარზე მდგარ სურასა და თასზე ანიშნა, რაც მსახურმა მშვენივრად გაიგო და მორიდებით გამოემართა, თუმც იქვე შეჩერდა.

— დიდი ორბელო, ამირსპასალარო, მომიტყევე შემოჭრა და კიდევ ის, რომ უნებურად მომხედავხდი თქვენი საუბრისა, რომელიც, როგორც ვხვდები, მევე გიორგისა და მისი ძმისწულის ამბავს ეხება. ის ფიცი, რომელიც გიორგი მეფემ ჩვენ, დიდებულთ მოგვცა, მეც კარგად მახსოვს.

— კეთილი იყოს მოზრძანება შენი, გრიგოლო ასათის ძე, დიდი მანდატურთუხუცესო, — ორბელიცა და ვარდანიძეც თავიანთად ზე ნამოედნენ შემოსულ ჭარამე, მთლად თითრ თმა-წვერას სტუმარს. ამირსპასალარმა რამდენიმე ნაბიჯიც კი გადადგა და შემოხედა ხელგამოლი გადავდა.

გრიგოლი შერეთის ერისთავიერი გახლდათ და მეტად სახელგანთქმულიც მთელს სამეფოში, რამეთუ შთამომავლობით იგიც ბაგრატიონთა სისხლისა იყო და ის მეფური მიზნა-მიზნა, რაც მის ნინაპრებს მოსდგამდათ, როცა ისინი ჯერ კიდევ თავისუფალ სამეფოს განაგებდნენ, ვიდრე დიდი დავითი მას ქართლს შემოეურთებდა, გრიგოლის ქვეყნშიც თვალსაჩინოდ იხილავდა.

მასპინძელმა მასაც შეუვსო თასი თავანკარა ღვინით და ვიდრე მსახური სავარძელს ახლოს მოუწევდა, ხელიდან ხელით მიართვა.

— რას ბრძანებდი, დიდი მანდატურთუხუცესო? — შეახსენა ვარდანიძემ, ვიდრე ორბელი და გრიგოლი სიათით ცლიდნენ თასებს.

— იმას მოგახსენებდი, — გაავრძელა შეწყვეტილი სიტყვა შერეთის ერისთავთ-ერისთავმა, — კარგად მახსოვს გიორგი მეფის ფიცი, რომელიც ჩვენ, დიდებულთა წინაშე დასდო მეფემ, ვიდრე კათალიკოსი გვირგვინს უკურთხებდა:

„უკეთუმცა ასაკულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდრძისამებრ ძისა ჩემისა დავეს საყდარსა მეფობისასა“. გაიხსენე, დიდი ამირსპასალარო, ხომ სწორედ ამგვარი ფიცი ნარმოქმდა მაშინ გიორგამ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მეფე, გარნა ეპირეტიოდა და იზრახავდა მეფობას?

— სწორედ რომ მშვენიერი მახსოვრობა გქონია, დიდი მანდატურთუხუცესო, — შეაქო ორბელმა, — დიახაც რომ დაგვარდნენ ფიცითა მტკიცითა და ჩვენცა ვერმეხეთ, ან კი ვინ იფიქრებდა, რომ ჯვრისა და ხატის წინაშე, კათალიკოსის თანდასწრებით ნარმოქმულ აგრე დამაჯერებელ ფიცს ასე მუხთობდა ულალებდა? — მე არც მაშინ ვირწმუნე მისი ის სიტყვები, დიდებულნი, რაც სიკვდილის პირას ყოფილ დავითის სასთუმალთან ნარმოქმდა გიორგიმ და ალუთქვა ძმასა თვისსა, აღვარდნულ ანდრძისა შენსასო, და არც მაშინ, დიდებულნი რომ კიდევ ერთხელ გვარწმუნებდა ძმის გარდაცვალებიდან ოცი-ოცდაათი დღის შემდეგ, — კიდევ გაიხსენა გრიგოლო ასათის ძემ, — გახსოვთ, სწუხდა, სამეფო უნატრონი არის და ვიხილო შემაღლებიწინით ყოვლისა მტრისა

„მე, როსოველი“

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)



არბეული, — ეუბნებოდა ორბელი ვარდანიძეს, — მოგახსენება, თექვსმეტი წლის გავხდი ოდეს, პირველად რომ აღვიღე მახვილი მტრისა მიმართ და მას შემდეგ ხმალი ხელიდან არ გამყარდნია, რამეთუ მუდამ დღეთური სამართლით ვგზობადი ყოველთა უსამართლოდ ერთი წევითი სისხლიც არ ეზიდება ჩემს კისერს. ისიც მოგახსენებ, ერთგულზე ერთგული ყმა ვიყავ გიორგი მეფისა, გარნა მისმა უფროსმა ძმამ, დავითმა, ვიდრე უფალი თავისთან მიუხმობდა, თვისი ძე, დემეტრე, ყმობისას მე მომანდო და ამით ყოველთა დიდებულთა წინაშე დიდი პატივი დამაქისრა. ალბათ, გახსოვს, კათალიკოსიც გახლდა დავით მეფისგან მიწვეული და ხატისა და ჯვარსახარების წინაშე დავაუწუნათა ყოველნი დემეტრეს მომავალზე.

— იმ ამბავს რა დამავინყებს, დიდი ორბელო, დღენიდავო ორბელი, — ვარდანიძე დაეპირებოდა, როდესაც მისი სიტყვები ჩაქრდა. — როგორ შეუძლებოდა ერთმანეთს ორბელი და ვარდანიძე, რომელიც გიორგი მეფის მხარეს იყო და რომელიც ვარდანიძის მხარეს იყო? — ვარდანიძე იკითხა. — ამათივე მეფის მხარეს იყვნენ, მაგრამ ორბელი ვარდანიძეს დაეპირებოდა, როდესაც მისი სიტყვები ჩაქრდა. — როგორ შეუძლებოდა ერთმანეთს ორბელი და ვარდანიძე, რომელიც გიორგი მეფის მხარეს იყო და რომელიც ვარდანიძის მხარეს იყო? — ვარდანიძე იკითხა. — ამათივე მეფის მხარეს იყვნენ, მაგრამ ორბელი ვარდანიძეს დაეპირებოდა, როდესაც მისი სიტყვები ჩაქრდა. — როგორ შეუძლებოდა ერთმანეთს ორბელი და ვარდანიძე, რომელიც გიორგი მეფის მხარეს იყო და რომელიც ვარდანიძის მხარეს იყო? — ვარდანიძე იკითხა.

მაზადა მის პირველივე სიტყვაზე სწორედ ისე მოიქცეს, როგორცაც მისგან მოითხოვნი. იგი ჯერ კიდევ დავით მეფის მიერ იყო აღზევებული და სამეფო კარზე დიდად მიღებული, მაგრამ როდესაც გიორგი მეფისაგან მეჭურჭლეთუხუცესის სახელი მიიღო, აღარ იცოდა, რომელს მისდგომოდა — თვით მისთვის, გიორგისთვის ეერთვულა თუ დავითის ძის, დემეტრესთვის გადაედო თავი. ამირსპასალარმა კარგად უხყრდა მისი ამგვარი სასწორითი ქანაობა და ამიტომ, როდესაც დემნა უფლისწულის გამეფება ჩაიდო გულში მთავარ განზრახვად, პირველად ივანე ვარდანიძემ ამოილო მინამი — ის უნდა გამმოებრივებინა და დემნასთვის გვერდში დევნიებინა. ამისთვის ბარე არაერთი მეხვედრა მოუხია მასთან, მაგრამ ივანე ორბელი ამ ნაბიჯს ყოველთვის გამართლებულად თვლიდა — გავლენიანი და დიდი მამულების პატრონი ერისთავთ-ერისთავის — დემნას ბანაკში ყოფნა, სხვა ბევრ დიდ ახალწარსა უბიძგებდა თავიანთი ბედარეუბი იქით მიემართათ.

— რა დღეადა და ქარიშხალი დავგანია დემრეთმა, დიდი ამირსპასალარო, — შეგვამ ვარდანიძემ დასახვედრად მოახლოებულ ორბელს, — მეგონა ცოცხალი ვეღარ მოვანხედიე აქამდე. ასეთი განზრახვებითი ტარობი კარგა ხანია არ მიხანავს, მეორედ მოსვლა მეგონა სწორედ. — მადლობა უფალი, რომ კიდევ მარჯვდ შენი ხილვა, ერისთავთ-ერისთავო, — ორბელმა სტუმარს მზარზე ხელი მოხვია და დიდი ნაბიჯით ნაიყვანა ბუხრისკენ, რომელიც ქვემოც ხმელი კუნძები სასწრაფოდ კიდევ შეალავა და რკინის ჯოხით ნაკვერჩხლები მიორიკა, — ამ მიძიე უამს, თვის ალარც დღეთის კანონი კანონებს და აღარც კაცის მიერ დადგენილი წესი წესობს, უნებნად გაგკინება და მასაც ჩვენი დასახის გზა აუორკავია. — ქემშარიტად აგრე, — დაეთანხმა ვარდანიძე, — რასაც ჩვენ ვიქმთ, უფალიც იმივე გვიხედის. რასაც მალა ააგედ, თავშიც ის დაეცემო, — ნათქვამია.

— დაიხ, ერისთავთ-ერისთავო, — ორბელმა თავსებში თავისი ხელით ჩამოსახა იქვე მაგიდაზე მდგარი ვერცხლის სურდანი მუქიწინითაღი დევიდა და ერთი მოსაუბრეს გაუწერა, მეორე თვითონ დაიკავა, — დაიხ, ვეთანხმები შენს ბრძნულ აზრს — მამოგრზე რასაც ნამოავებ, ცეცხლზეც ის შეიხვება. ამისთვის შემოგთავალე მოზრძანება სწორედ, გარნა სამწუნაროდ, ჩვენ ახლა თავში ის გვეცემა, რაც ამ მცირე ხნის წინ ჩვენ კი არა, მევე გიორგიმ ააგოდ ხნისა.

ალაგმა, ჯერეთ თანხმობა უკეთესად ზედა მეფედ კურთხევისა და მერმე ეგე დენა, ოდეს ჰასას ზედა მიაღწევს, აპა მას ტახტი, გვირგვინი და ხრამლი სამეფოო.

ალექსანდრა ნონეშვილი, პროფესორი

— იოსებ ნონეშვილი

გზაში თავის ტკივილმა შემანუხა. ვიქტორმა თქვა: აგერ აფთიაქს „ჟორჯი“ (საქართველო) ანერია და ბარემ წამალი იქ ვიყიდოთო. აფთიაქში შევედი – აფთიაქარს მივმართე: მე იმ ქვეყნიდან ვარ, თქვენებურად „ჟორჯი“ რომ ეწოდება. ხომ ვერ მეტყვი, თქვენს აფთიაქს რატომ ჰქვია ეს სახელწოდება? აფთიაქარმა მხრები აიჩეჩა, წამალი მომანოდა და მითხრა: – მეორე სართულზე აბრძანადი, იქნებ იქ გაპასუხონო და სხვა კლიენტს მიუბრუნდა.

წამლის დაღვევა აღარც გამხსნებია, თავის ტკივილმა თავისით გამიარა. წამალი ჯიბეში ჩავიდე და მეორე სართულის კიბეებს ავეყვი. შევედი მოზრდილ ოთახში, კედლებთან კარადები იყო ჩამკრევილებული. ზანგმა გოგონამ თეთრი კბილები შემომანათა და ჩაიღუღუნა – „რა გნებავთ?“ რამზესმა ჩემი შეკითხვა გადაუთარგმნა. გოგონამ ერთ-ერთი კარადიდან საქალაქედები გადმოიღო, რომელშიც როგორც გაირკვა, მათი აფთიაქის ისტორია თუ რაღაც ამგვარი მასალები იყო თავმოყრილი.

აი, რა ენერა იმ ქალაქედებზე: „პირველი აფთიაქი და პოლიკლინიკა ადის-აბებაში ჩვენს თანამემამულე პეტრე მერაბიშვილს დაუარსებია, რომელიც წარმოშობით სოფელ უდედანი ყოფილა, საფრანგეთში მიუღია სამედიცინო განათლება. ახალგაზრდა ექიმი ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში ეთიოპიის იმპერატორმა მიიწვია. იგი მსახურობდა იმპერატორის პირად კარის ექიმად. 1910 წელს იმ სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, მერაბიშვილმა დააარსა ამბულატორია და აფთიაქი „საქართველო“. ეს იყო პირველი სპეციალური აფთიაქი ეთიოპიაში.“

ეთიოპიაში 7 წლის ცხოვრების შემდეგ, 1915 წელს პარიზში გაემგზავრა. 1922 წელს კვლავ ბრუნდება ადის-აბებაში, ხოლო 1930 წელს გარდაიცვალა. მერაბიშვილი იყო არა მარტო კარგი ექიმი და მედიცინის მკვლევარი, არამედ შესანიშნავი მწერალი და ეთნოგრაფი.“

– აი, სულ ეს არის პ. მერაბიშვილის შესახებ რაც იცან. საქართველოდან ამ შორ მანძილზე ჩემი მოძიის ერთადერთ ჭირისუფალს, აფრიკის თაკარა მზის ქვეშე ციებულევიტ ამაკანკალა. თავის ტკივილმა კი გამიარა, მაგრამ გულმოკლე გამოვედი აფთიაქიდან. უხასიათოდ დავბრუნდი მე და რამზესი სასტუმროში. იქ მწერლები მ. ვ. ვანგი და ი. კარიუკი დამხვდნენ, დიდხანს ვისაუბრეთ ლიტერატურულ საკითხებზე, თარგმანებზე. მეორე დღეს მოეწყო შეხვედრა, საღამოს დაესწრო ჩემი მეგობარი ევგენი პრიმაკოვი, რომელიც მაშინ იქ მუშაობდა, აგრეთვე, დაგვესწრნენ საელჩოდან.“

ჩილე

„1968 წელს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი, მწერალი სერგეი ბარუდინი და მე მონაწილეობის მისაღებად ოფიციალურ დელეგაციაში მიგვიწვიეს სანტიაგოში, სადაც გაიმართა ლათინური ამერიკის მწერალთა I კონგრესი. ამ დელეგაციაში ვიყავით მხოლოდ ორნი, თან გვახლდა მთარგმნელი ესპანურიდან ელა ბრავინსკაია. ჩილე ჩვენგან ყველაზე შორი ქვეყანაა,



იოსებ ნონეშვილი ირაკლი ჯვარცხელიანთან ერთად

ამშვენებდა მის საიუბილეო სცენას. მეორე დღეს მხატვრებმა იზრაელ როას და ავთანდილ მერაბიშვილმა გადმომცეს ფერებში შესრულებული საკმაოდ დიდი ზომის პორტრეტი. ჩვენ პორტრეტი გადავეცი და საზეიმოდ დავკიდეთ ჩილეს მწერალთა ასოციაციის კულუმბო, სადაც ეკიდა დიდი კლასიკოსების გაბრიელ მისტრალის, სერვანტესისა და შექსპირის სურათები. იმ დღეებში ჩილეს სამხრეთის ქალაქ ბოემი ერთ-ერთ დიდ ქუჩას რუსთაველის სახელი ეწოდა.

ჩემს აღფრთოვანებას საძღვარი არ ჰქონდა, როცა ვისმენდი საიუბილეო საღამოზე მთარგმნელ დელატორესი და ჩილელი მსახიობის მიერ შესრულებულ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“. აქვე შესრულდა ცნობილი ჩილელი კომპოზიტორის პედრო ნუნიეს ნავარატესის მიერ დაწერილი სიმფონიური პოემის ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსანი“. საღამოზე სიტყვით გამოვედი.

ჩილეში დავვავით თითქმის სამი კვირა, გამომგზავრების წინა დღეს მივიღე



ადის-აბება. მერაბიშვილის აფთიაქი

მეჩაბე ბერიძე

პროფესორი

დღევანდელი ჭაჭკარი მე-16 საუკუნეში საშუალო ზომის სოფელი იყო და 14 კომლი ცხოვრობდა. იმდროინდელი ჭაჭკარული ოჯახის უფროსების ზოგი სახელი შემოგვრჩა, ზოგის სახელი ამოუკითხავია ს.ჯიქიას მიერ (ჯიქია 1958, 242-243).

აი, ისინიც: ოქრო, ივანე, შაპი, პაპუნა, ვიქრია, კიდევ ორი ივანე და ერთი ოქრო, პეტრე, იასულ, ხასიკი, ელიაზარი, მერაბა, ამროსი, მიქაელი, დავითგული, რევაზა, რამაზა.

სოფელი ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობდა და მათ შორის იყო დიდი ოჯახები. თითო ხმეტი ოჯახიდან სამი ოჯახის უფროსი მოხსენებულია არა მამის სახელით. ესენია: მერაბას შვილიშვილი, იასულას შვილიშვილი და რამაზას შვილიშვილი. მაშინ, როდესაც დანარჩენები ძირითადად მამის სახელით მოიხსენიებიან: ოქრო ივანესძე, პაპუნა ვიქრიასძე, ივანე ოქროსძე, ხოსიკ ელიაზარისძე, ამროს მიქელისძე. ასევე მამის სახელით მოიხსენიებენ ოსმალ მოხელეები იმ პირებს, ვისი სახელებიც ამოუკითხავია: ივანე X-ის ძე X ივანეს ძე (ძე მისი), პეტრე X-ის ძე და რევაზა X-ის ძე. ოქრო ივანეს ძის ძმა არის შაპი (ძმა მისი), რომელსაც შაპის შემდეგ მეორე ნაწილი უნდა ჰქონოდა სახელისა, რომელიც ამოუკითხავია: „ოქრო ივანესძე, შაპ X ძმა მისი“.

სხვაგვარად გაუგებრობა ოქრო ივანეს ძის ძმა არის შაპი ამოუკითხავი ნაწილი სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, არც ძმას, არც მამას, არც პაპას.


ჭაჭკარი მდებარეობს ერუშეთის მთათა ფერდობის ძირზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ეკვრის ვარძიას, კერძოდ, მის საღალატო ხევს. ჭაჭკარს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა სოფელი ალაგური (ალაგი), რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა თმოგვის ციხის რაბათს და რომელსაც აკავებდა გზა ზედათმოგვთან (ბერიძე 2011, 54). ჭაჭკარი ზოგი მონაცემით მოიცავდა მტკვრის მარჯვენა ნაპირსაც:

სერგო ჯიქია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მესხეთში მოგზაურობის დღიურში წერს: „გოგაშენს ქვემოთ, მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღები და ამ ადგილას ჭაჭკარს ეძახიან (ჭაჭკარის გაღმა ნაპირი ვარძიის მიწისტრის ქვემოთა, გამოღმა (გოგაშენისაკენ მდებარე ჭაჭკარში დარჩენილი ნასახლარების კვალი)“ (ჯიქია 1958, 364). აქვე მოყვანილი ჰყავს ციტატა ს. ჯიქიას ც.გაბაშვილიდან ზემოთქმული აზრის დასამტკიცებლად: „ვანის ქვაბებიდან გზატკეცილი აღმართ-დაღმართით ჭაჭკარს-გამოღმა ჭაჭკარის-ბაღებზე მიიკლანება“ (ჯიქია 1958, 364). მართლაც ამკარაა, რომ ჭაჭკარის ბაღებში (გამოღმა ჭაჭკარის ბაღებში) იგულისხმება დღევანდელი გოგაშენის ბაღები, სადაც სასტუმროთა ქსელია. გაღმა-გამოღმა ამ შემთხვევაში პირობითია, რადგან გამოღმა არის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდგომისათვის, ხოლო გაღმა ჭაჭკარში იგულისხმება დღევანდელი ჭაჭკარი.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრისთვის არის დამახასიათებელი. ჭაჭკარი ვერ იქნებოდა მტკვრის ორივე ნაპირზე, რადგან ახლო-მახლო ისტორიული ხიდი ან ნახიდარი არ არსებობს. მართალია, არსებობს ნასოფლარი გოგაშენის ბაღებში, მაგრამ მას სხვა სახელი უნდა რქმეოდა. იმავე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ამ მიდამოებში აღწერილია პატარა სოფელი ვანისხევი, რომელშიც მხოლოდ სამი ოჯახი ცხოვრობს: „ზახუდაბელის ძე, დემეტრე მელაძის ძე და ვარძელ ძმა მისი“ (ჯიქია 1941, 243). იგი აღწერილია გოგაშენსა და ჭაჭკარს შორის. ან სოფელი ვაშლითი, რომელიც ბევრად დიდი სოფელია, ვიდრე ვანისხევი და თუნდაც სოფელი ჭაჭკარი. ვაშლითში 22 კომლი ცხოვრობს (ჯიქია 1941, 243-244).

„დავითის“ მიხედვით გაღმა-გამოღმა სოფლები რაიმე პრინციპის მიხედვით არ არის გამოიჯნული. ვაშლითი იმით არის გამორჩეული, რომ ოჯახის უფროსები, მართალია, მოხსენებული არიან მამის სახელით, მაგრამ ბევრი მათგანი მხოლოდ სახელით მოიხსენიება, კერძოდ: სახელად რევაზ, სახელად აბესალომ, სახელად ენუქა, სახელად დემეტრე, სახელად როზარა, სახელად გულისადებ, სახელად ელია. მამის სახელით მოიხსენება გარკვეულნილად გვარზე მითითებასაც გულისხმობს. ზოგ-

ჯერ მამის სახელია ქცეული გვარად, კვლავ ოსმალურ ყალიბში ჯდება და სახელის როლს ასრულებს, როგორც ზემოთ მითითებული მელაძის ძე, ასევე გვხვდება ბერიძის ძე და სხვა, მაგრამ მხოლოდ სახელზე ორიენტირება „უგვარო“ ოჯახებზე უნდა მიგვანიშნებდეს. სოფელში ორი ვარძელი გვყავს: ვარძელ ბადრიას ძე და ვარძელ მანასეს ძე. ვარძელი ამ მხარეში გავრცელებული სახელია და ვარძიასთან არის დაკავშირებული, თუმცა ის არ აღნიშნავს მაინც-ცდამაინც ვარძიდან წარმომავლობას. სახე-



ლად ჩანს ქცეული. სოფელში ცხოვრობდა ნათენა გაგელის ძე. შეგვიძლია დავუშვათ, რომ ნათენა გაგელის ძეს ჰყავდა შთამომავალი ნათენას ძე, საიდანაც მივიღებთ სწორედ გოგაშენ-ჭაჭკარში გავრცელებული გვარი ნათენაძე.

სოფელთა თანმიმდევრობა დავითის დროს ისეთია, რომ გოგაშენის ბაღებში (ნათენაძეთა სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული ნასოფლარი) უნდა იყოს ან ვაშლიანი ან ვანისხევი და არა ჭაჭკარი. დავითის დროს რომ ყოფილიყო ორი ჭაჭკარი (გაღმა-გამოღმა, ზემო-ქვემო, დიდი-პატარა) უეჭველად იქნებოდა დაფიქსირებული. სოფელი ჭაჭკარი გვხვდება ხალხურ პოეზიაშიც.

1888 წელს დაბადებული ბასილ გაბრიელის ძე ბერიძისგან ჩანწერილი მათგან შემდეგი სტრიქონები:

„ანგურის ხეობას შემოვწყვე, ჭაჭკარს ვნახე სახლი კლდისა, ანაკული, დანაკული ალაგური, ქილდას ერთი ვოგო ვნახე, იმან დამიკოდა გული, გამოიტანა ქისა და მაჩუქა, დალიანდაგებული, სარამ მქონდა მისაროდა, რომ დავკარგე, მოკვდა გული.“

1903 წელს დაბადებული ელიოზ ლაზარის ძე მაისურაძე ამბობს:

„ჭაჭკარში ვიყავ, დარბაზი ვნახე, აყვავებული ნალკოტი ვნახე ალაგურისა, დუღუნი მშვენიერი მტკვრისა, შენ გენაცვალე ჩემო ჭაჭკარო?“ (ბერიძე 2011, 54).

მართლაც ჭაჭკარისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი არის სახლი კლდისა და დარბაზი, რომელიც გადაიტანეს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ლია ცხეძემ.

ჭაჭკარის (ჭაჭკარის) ეტიმოლოგიის დროს შეიძლება გამოიყოს-კარ კომპონენტი და სიტყვის წარმომავლობა შესაბამისად დავუკავშიროთ კომპოზიტს. კარ კომპონენტი სახელებში მხოლოდ ოიკონიმთა (სოფლის სახელებს) შორის 77-ია (ტოპონიმიკა, II. პროფ. შოთა ძიძგურის საერთო რედაქციით 1980, 161), რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ რომელი სიტყვები რა სემანტიკის ლექსიკასთან ქმნის კარ კომპონენტი კომპოზიციას. პირველ რიგში უნდა გამოიყოს ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი მრავლობით რიცხვში. მაგალითად: კობიანთკარი, ჭილათიკარი, აღდგომელანთკარი, გრიგოლიანთკარი, ჩიროდელოანთკარი, ჯავახიანთკარი, ნინამძღვრინთკარი, მჭედლიანთკარი, მუხრინთკარი და სხვა.

კარს ამ შემთხვევაში უბნის მნიშვნელობა აქვს, რაც გამოიწვეულია დიდი ოჯახების დაყოფის შედეგად. მონოგენური გვარების (ერთგვარიანი სოფლების) დაყოფა ხდება „უბნებად“ „კარებად“ ქცევის საფუძველი. „გვართა, დიდახლოთა, დიდ ოჯახთა დაყოფა შესაბამისად სათავეს უდებს შტოგვარებს და უბნებს, კარებს, გვარებს მრავლობით ბრუნვაში“ (ბერიძე 2010, 200) - კარ კომპონენტიანი კომპო-

ზიტებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ასეთი წარმოებისაა.

ახალი სახელები გვაქვს ანალოგიის ნიადაგზე შექმნილი, რომელთაც თავის დროზე იდეური დატვირთვა ჰქონდა. ასეთია: ორი ცოდნისკარი და შრომისკარი. გონებისკარი რეალური კარი-დან უნდა მოდიოდეს სახელები მალაროსკარი და ხიდიკარი. ამავე რიგში დგას ტაშიკარი, ოლონდ ნათესაობითი მდგომი მსაზღვრელი, ერთი ვერსიით, თურქულად ქვას უნდა ნიშნავდეს. - კარი გამოიყოფა ცნობილ ისტორიულ სახელში კლდე-

თმოგვის ციხის რაბათს. ასეთი კარები ხშირად საბაჟოს ფუნქციასაც ასრულებდა. აქვე ნასოფლარ ალაგურის მიკროტოპონიმიში, ალაგურის თავზე, ორ კლდეს შუა, გადის გზა. შავი ნალისმავარი ოთხი ნიშანი აქვს თეთრ კლდეებს (ბერიძე 2011, 54-55). ეს „ნალები“ ჩამკეტი კარის ან ჯამბის ადგილი უნდა იყოს, ეტყობა, იმდროინდელი „საბაჟო-გამშვები პუნქტი“ (364. 242).

მე-16 საუკუნეში გოგაშენი სოფლად არ არის აღწერილი. იგი არის სათესველი. ასეთი სათესველები ჰქონდათ ბარის ან მთის ჯავახურ სოფლებს. ამ შემთხვევაში თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული სერგი ჯიქიას, რაც სრულიად სარწმუნოა: „ვიწინადან ახლა ჭაჭკარში მოსახლეობა სრულებით არ არის (იგულისხმება მე-20 საუკუნის 30-იანი წლები, როცა მეცნიერი „დავთარზე“ მუშაობს და მოგზაურობს სამცხე-ჯავახეთში - მ.ბ.), ხოლო ჭაჭკარის ზემოთ მდებარე ანინდელი-სოფელი გოგაშენი „დავთარის“ დროს სათესველად (ალბათ, ჭაჭკარელების სათესველად) არის აღიარებული, საფიქრებელია, რომ ჭაჭკარელები შემდეგში გოგაშენად ნოდებულ ადგილს დასახლდნენ და თავიანთი ნასახლარი - ჭაჭკარი ბაღებად აქციეს“ (ჯიქია 1958, 364).

ჯავახეთში ამ ტიპის სამეურნეო ყოფა ჩვეულებრივი ამბავი იყო და იგი, ცნობილია, მხოლოდ ქართულ მოსახლეობას ახასიათებდა. ქარაფისპირა ქართული სოფლები, რომლებიც

ჭაჭკარი



კარი, რომელშიც გვაქვს ზედსართავად ქცეული არსებითი სახელი კლდე. კლდეკარმა მიიღო ერთგვარი გეოგრაფიული ტერმინის შინაარსი და კლდეში გასასვლელი გზის აღნიშვნისთვის იქცა. კლდეკარია თმოგვის ციხეს გადაცდენისას ვანისქვაბების გადასახედის კლდეთა შორის გასავლელი გზის მონაკვეთი.

რეალურად კარს უნდა აღნიშნავდეს მუხისკარი, რომელიც ისტორიულ საქართველოში - ტაო-კლარჯეთში მდებარეობდა (ჯიქია 1958, 596).

-კარი გამოიყოფა სამცხეში შემოსასვლელი ერთ-ერთი გზის სახელში, - ზეკარი, რომელიც ზე-ზედა მსაზღვრელიდან მოდის და შინარსიც ნათელია.

ხევი ფართე ცნებაა, ის ზოგჯერ მოიცავს მთელ მხარეს, ისევე, როგორც, მაგალითად, ხევი საქართველოს ჩრდილოეთით ან იმერხევი და ა.შ. ასეთ ხევს შეიძლება ჰქონოდა თავისი კარი შესასვლელი. ხევისკარი ადგილის სახელია „დავითის“ მიხედვით (ჯიქია 1958, 596). ასეთი კარები სხვა კუთხეთა თუ ქვეყანათა შესასვლელსაც ჰქონდა, როგორც, მაგალითად, ისტორიული ტაოსკარი. მდრ. დარიალანთა (ალანთა კარი) და სხვა.

შეიძლება კარი თვითონ იყოს მართული მსაზღვრელი. ასეთი რამ დასტურდება ქიქინეთსა და ნახისწყაროს შორის ნასოფლარის სახელად. ეს არის კარისჯვარი (ჯიქია 1958, 170-171). ამ შემთხვევაში კარი იმავე დანიშნულებით უნდა განვიხილოთ, როგორც კარის ეკლესია. მისი ერთი ვარიანტი არის კარჯვარი (ჯიქია 1958, 170).

ჭაჭკარში გამოყოფილი კარის შემდეგ გვრჩება მის პირველ ნაწილად ჭაჭ-ფუძე. არის ცდუნება, რომ ეს ფუძე დაუკავშირდეს ჭაჭას, როგორც ცოტა ხნის წინ ერთი ფეისბუკველი მით გამოთქვეს მოსაზრება ახალგაზრდებმა. მართალია მათი მიზანი სახელის რეკლამირება იყო, რომ ჭაჭკარის ვაზი და, შესაბამისად, სანაზხელი უძველესია, რომ ყურნისგან მზადდებოდა ჭაჭაც და ამიტომ ეწოდა სოფელს ეს სახელი, მაგრამ ტოპონიმური მონაცემები ამის თქმის საშუალებას არ გვაძლევს.

ჭაჭი მოხეურ დიალექტში არის „კლდის ნატეხი ბრტყელი ქვა“, ასევე გვიხსნის ჭაჭის მნიშვნელობას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: „ასპიტის ფიქალი“ (ქველი 1964, 1254). ფიქალი ქვა ტრადიციულად კარგი სამშენებლო მასალა იყო. ჭაჭის ქვა-მთიელეთში ნასვრეტებიან ქვას ნიშნავს (ქართულ კოლო-თქმათა სიტყვის კონა 1984, 718). მოსალოდნელია, რომ ჭაჭკარში იყო კარი, რომელიც უკავშირდებოდა

სხვა ეთნოსის ჩამოსახლების შემდეგაც ინარჩუნებდნენ მთავარი დამცველის ფუნქციას, ამიტომ მათი გავლენა ლოკური იყო მთაზეც და ბარზეც. ასე იყო, მაგალითად: თოკი და თოკის ბაღები, ვარგავი - ვარგავის ბაღები. ჩუწჩხა და ჩუწჩხის ბაღები. ნაქალაქევი და ზედათმოგვი. აგარა და მარგასტანი (თმოგვი) და სხვა.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ტოპონიმების მასალას ვაგროვებდით, გოგაშენელებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ჭაჭკარიდან ამოსვლა (ბერიძე 2008, 266). ამკარაა, რომ ჭაჭკარელები ვინმე გოგას სახელთან, ვისაც ყველაზე მეტი ფართობი ჰქონდა ჯავახეთის ზეგანზე, არის დაკავშირებული გოგაშენის ეტიმოლოგია. „შენ კომპონენტის სახელით სამცხე-ჯავახეთში ბევრია (ბერიძე 2008, 258-262), ერთ-ერთი მათგანია სწორედ გოგაშენი.

არის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომელიც გოგაშენთან დაკავშირებით ჩაუწერია ნათელა ცისკარაძეს: „ნასოფლარ დანკალის მხარეზე დღეს წმინდა გიორგის სახელობის უფუშბათო... ეკლესიაა. მის ირგვლივ სოფელ გოგაშენის დღესაც მოქმედი სასაფლაოა. სასაფლაოს ამ ადგილას გოგათი შქეთია... თურმე თავდაპირველად სოფელი აქ, ამ ეკლესიის გარშემო ყოფილა დამკვიდრებული. სოფლის მცხოვრებთ თურქები ხშირად ფარულად ესწრაფებენ თავს ... ამის გამო სოფელს გადაუწყვეტია... საცხოვრებელი ადგილი შეეცვალათ და ხევს გაღმა საზღვრის მხარეზე დასახლდნენ უკუდგნენ ... პირველი, რომელიც აქ დასახლდნენ, გადმოცემის მიხედვით, ყოფილა კაცი, რომელსაც რქმევია გოგა. მერე სხვებსაც განუცხადებიათ: ნახლო, რაღას ვუცდით, გადავიდეთ გოგას ნაწინშიაო. დღეს ჰყვებიან ამ ამბავს და მასვე უკავშირებენ სოფლის წარმოშობასაც: გოგას აწენებული - გოგას ნაწინი - გოგაშენი“ (ცისკარაძე 2021, 18-19)

ნ. ცისკარაძის ვერსია, ვფიქრობთ, დასახლების დინამიკას აღნიშნავს უკვე ჭაჭკარიდან პლატოზე ამოსული მოსახლეობისა.

მე-16 საუკუნეში გოგაშენი, როგორც სათესველი ისე არსებობს. ალბათ, შემთხვევით არ არის, რომ სასაფლაოს გოგათი შქეთია. სწორედ ეკლესიის გარშემო დასახლდნენ (ან მერე აამენეს ეკლესია) თავდაპირველად ჭაჭკარელები, აქ გახდნენ გოგაშენელები, რაზეც თვით გოგაშენის მიგვანიშნებს და შემდეგ გადავიდნენ დღევანდელ ადგილზე. გოგა კი ნამდვილად გავრცელებული სახელია მაშინვე „გურჯისტანში“, რაზეც მივივითხებთ მეორე გოგაშენის არსებობა დიდი არტანანის ლივანში (ჯიქია, 1958, 525).

ჩემი სოფელი

მაღლა კლდეზე ამაყად დგას სოფელი გოგაშენია, გვერდზე ვაკე-მინდორი აქვს, ჯავახეთის ზეგანია, დაბლა მტკვარი ხევ-ლეღეთი, ბალ-ბოსტანი ალაგია, მთაც არის და ბარიცაა, ეს ისეთი ალაგია.

ამ დალოცვილ მიწა-წყლისა დაცვა ყველას გვავალია, წინაპრების მგალობელი, საგანძური ალაგია, თმოგვის ციხე, ვანის ქვაბი, ციხე-ქალაქი ვარძია, კუმურდო და ნუნდა გეტყვით, იქ რო ქვები ალაგია.

პურის, ხორცის, ხილ-ბოსტანის, უხვ მოსავლის ალაგია, ჭაჭკარი ხომ სასიცოცხლო, საკურორტო ალაგია, ვინც ამ სიმდიდრეს დაიცავს, დედის ძუძუც ალაგია.

რაფიელ ცინსპარაძე
1961 წელი, ახალქალაქი

პავლე ცვილელი (პაპსაჰუჯია)

სოსო სიგუა

პავლე ცვილელი ისტორიაში ცნობილი პიროვნებაა.

როგორც ითქვა, იგი ცვილისის მიტროპოლიტი ყოფილა 1703 (1704) წლიდან. მისი ცვილელი ბისის დასაწყისი ემთხვევა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას: სპარსეთის შაჰის ნებით ქართლის სამეფო ტახტი დატოვა ერეკლე პირველმა, თეიმურაზ პირველის შვილიშვილია. დაბრუნდა გიორგი XI, უფრო სწორად – მეფედ აღდგა, მაგრამ ცვილისში არ ჩამოუყვას: შაჰმა იგი დანიშნა მთავარსარდალად და ყანდაარის ბეგლარბეგად. ხოლო ქართლს განაგებდა მისი ძმისწული ვახტანგ ლევაინის ძე, რომლის აღმზრდელი და მამის ბიძაშვილი იყო სულხან-საბა ორბელიანი.

1704 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსიც ახალი ჰყავდა – ვახტანგის ძმა დომენტი, რომელიც ქვეყნის დამოხობის შემდეგ სტამბოლში წავიდა: ეგონა, რომ ქართლს ასე უმეცლიდა (ვახუშტი ბატონიშვილი). თითქოს გაუგებარია, როგორ უნდა გაერეკლებულიყო XVII საუკუნის ქართლში მეგრული გვარი, ხოლო მის ნარმოადგენელს მიეღო ცვილისის მიტროპოლიტობა, თუ არ ეყოლებოდა ძლიერი მხარდაჭერა.

ასეთი მფარველი უნდა ყოფილიყო პაპუნა გოსტაშვილი და მისი სახლი. პაპუნას ერთ-ერთი ვაჟი ნიკოლოზი მანგლისის ეპარქიას განაგებდა XVII საუკუნის მიწურულდან. პაპუნა გოსტაშვილი, როსტომისა და ვახტანგ მეხუთის ყოლიფორნი (მეხმარე), ერეკლეს მონიხაღმდეგე იყო, მხარს უჭერდა დევნილ გიორგი XI-ს. არ არის გამორიცხული, რომ პავლე ამიტომაც დაინიშნა ვახტანგმა. ამასვე ადასტურებს ცვილელი მიტროპოლიტების ყოველწლიური ცვლა და დომენტი კათალიკოსის დიდი პატივისცემა პავლესადმი.

მიწვეთა შორის არიან ნაზარაზისა და სხვა მონიხაღმდეგეებიც. მაგ., გუგუნა გერმანოზიშვილი (ბარათაშვილი), რომელსაც მეფემ მამულები ჩამოართვა, მაგრამ პავლეს მიტროპოლიტის ხარისხისათვის ერთგულების, გონიერებისა და განათლების შედეგად უნდა მიეღწია, არამხოლოდ ვინმეს მფარველობით. ამ თვისებათა გამოვლენა ერთაშინ ვერ მოხდებოდა. გარდა ამისა, რუს-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით, ეპისკოპოსი 35 წლისა მიიწვი უნდა ყოფილიყო, ხოლო მიტროპოლიტი ხარისხით ეპისკოპოსს აღემატება. მაგრამ ეს წესი ხელისუფალთა ნებით ირღვეოდა ხოლმე: ვახტანგის ვაჟი ანტონ I, რომელიც 20 წლისა მიტროპოლიტი იყო, 24-ისა – კათალიკოსი. ამიტომ პავლეს დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ XVII საუკუნის 70-იანი წლები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ XI საუკუნიდან საეკლესიო იერარქია შორის ადგილს იკავებდნენ თავდაზნაურთა შვილები. გლეხკაცი საჭირო განათლებას ვერ მიიღებდა, რომც მიეღო, ნარმოადგენლობა მინც ხელს შეუშლიდა და სამეფო კარი არ აღაზრებდა. ასე რომ, მფარველთა გარეშე პავლე მიტროპოლიტი ვერ გახდებოდა. ძნელია თქმა, პაპუნას ყმა ასლან გამსახურდია ვინ იყო პავლესა და მამუკასათვის მშობელი თუ ნათესავი, მამა თუ ძმა. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ერთ ოჯახს განეკუთვნებოდნენ, ერთი წინაპარი და ერთი ბატონი ჰყავდათ.

მინც უფრო მართებული იქნება თუ ასლან გამსახურდიას პავლესა და მამუკას მამად მივიჩნიეთ. როგორც ჩანს, ვახტანგი პავლეს დიდად აფასებდა და ენდობოდა, არა მხოლოდ როგორც სასულიერო პირს, არამედ როგორც პოლიტიკურ მოღვაწესაც. ამიტომაც გააგზავნა იგი ელჩად რუსეთში 1722 წელს. პავლე ჯერ იმერეთში გადავიდა, შეხვდა მეფე ალექსანდრეს, რომელმაც თავისი სახლითაც დაავალა რუსეთთან მოლაპარაკება, გაატანა წერილი და საჩუქრები პეტერბურგისადმი – ათასმარცვლოვანი მარგალიტის მძივი და ოქროს გვირგვინი იაგუნდებითა და მარგალიტებით. მაგრამ მიტროპოლიტი ვერ შეხვდა იმპერატორს და

დაიკარგა როგორც წერილი, ისე საჩუქრები. წლების მანძილზე ამოდ ცდილობდა მათ დაბრუნებას იმერეთის მეფე.

პავლე ცვილელს ისეთსავე დავალებას აძლევს ვახტანგი, როგორსაც სულხან-საბა ორბელიანს, რომელმაც მისვე დასტოვა გარეჯის მონასტერი, როგორც კი ქართლში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ვახტანგი აქტიურად ერეოდა საეკლესიო საქმეებში. მას სჭირდებოდა ერთგული, თავისი პოლიტიკის გამტარებელი, საერო ცხოვრებაში მონაწილე სასულიერო პირები. ამიტომ შეცვალა ნაზარაზისის მიერ დანიშნული კათალიკოსი და მიტროპოლიტი, დავით გარეჯიდან გამოიწვიო სულხან-საბა, მაგრამ არც მღვდელმთავართა ცხოვრება იყო წყნარი და მშვიდი, ეპოქის ქარბორბლა მათაც თავის ნებაზე ატრიალებდა...

ასე – ქართლში ჩარჩენილი პამფილის მიტროპოლიტი პართენი მამადავითის ეკლესიის წინამძღვრად გაუმწესებია პავლეს, რის გამოც ანტიოქიელი მღვდელმთავარი მადლობას უხდის მას, სიონის ღვთისმშობლის „ტახტსა ზედა მჯდომარეს“.

მაგრამ მალე სხვისი მხსნელი თავად გახდა დევნილი და შესაწყალებელი: რუსეთის იმპერია კავკასიონს იყო მომდგარი, კასპისპირეთს იპყრობდა და საქართველოს მოკავშირედ იგულებდა სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. პეტრე პირველის მოლაპარაკება ვახტანგ მეექვსესთან წლების მანძილზე გრძელდებოდა. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული პავლე მიტროპოლიტი.

როგორც ვიცი, რუსეთმა მოატყუა ქართლის ხელისუფალი და იგი მუსლიმანური სამყაროს პირისპირ მარტო დატოვა, რაც ქვეყნის კატასტროფით დასრულდა.

ვახტანგი 1200 მხლებელთან ერთად ჯოჯოხეთური გზით რუსეთში გადავიდა. პავლე მეფეს თან გაჰყვოდა. ცვილისში მას აღარც დაედგომებოდა... ვახტანგსა და მისი ამაღლის წევრებს ისევე არ ეწერათ სამშობლოში დაბრუნება და დამარხვა,

როგორც ორასი წლის შემდეგ რუსული ხიშტით განდევნილ ნოე სორდანიასა და მისი ხელისუფლების მესვეურებს. „ჩემი ძირი ქვეს ჰქონებოდა – დადნებოდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“, – მკობებდა ნალალატევი მეფე... ვახტანგ VI-ის ამაღს 1724 წლის ნუსხაში, რომელიც დაცულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში, პავლე ცვილელი თავადად მოიხსენიება: „თავადისშვილი მიტროპოლიტი თბილელი პავლე. ამას ახლავს თავადიშვილი მღვდელმთავარი არსენ, აზნაური ოდიშელი ახლავს, დოდელია მსახური ახლავს“ (გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 230). როგორც ვხედავთ, პავლეს მხლებია აზნაური ოდიშელი და ასევე მეგრული მსახური დოდელია. ეს ფაქტიც ხაზს უსვამს მიტროპოლიტის ნარმოადგენლობას, კავშირს ოდიშთან.

შეიძლება პავლეს ნათესავებიც გააყვინდებინო მეფეს რუსეთში. ვახტანგის სამართლის მიხედვით, მიტროპოლიტი თავადთან იყო გათანაბრებული. ამიტომ იხსენიება პავლე „თავადისშვილად“.

პავლე ცვილელიც ისევე გასტყორცნა სისხლიანმა სამმა სამშობლოდან, როგორც სხვა მრავალი მოღვაწე. ამჯერად ეს რუსეთის მიხედვით მოხდა. დევნილი ქართლის მეფე 8 ნოემბერს ჩავიდა ასტრახანში, ხოლო თებერვალში ჩრდილოეთის გაუთავებელ გზას გაუყვა. მიტროპოლიტი დედოფალ რუსუდთან დარჩა.

რუსუდთან, პავლე ცვილელმა და სხვა მღვდელმთავრებმა მხოლოდ 1726 წლის 9 მარტს ჩააღწიეს მოსკოვში, სადაც მალე მიიკვალა ოდიშისა და ქართლის ზეცას მონატრული მღვდელმთავარი. ვახტანგმა მიტროპოლიტად დანიშნა ნიკოლოზი – სულხან-საბა ორბელიანის ძმა. ეს მომხდარა 1726 წელს. რუსეთის ცივ მიწაში ჩანვა ქართლის ბედი თ გულმოკლული კიდევ ერთი მამულიშვილი.

ლალი სოსაქე

ქართული მინა-წყაოს კუფერები მე. ჩემებურად

ქალაქში გაზრდილს, ქალაქური ყაიდით ჩაცმულს, „სოფლის სამოსი“ მომირგია ტანზე მეფურად, იდუმალაში რძლად მოვსულვარ და არც კი ვნანობ, ქართული მინა-წყაოს ვეფერები მე, ჩემებურად!

აქ იცი, მინას სურნელი აქვს მაისის ვარდის, წვიმა კი უკრავს მთის და ბარის მუსიკას ერთად, მის წვეთებს მოაქვს ყვავილების სურნელი ბარში და ღრუბლის ფთილებს არ უტოვებს დროს მოსაწყენად...

მზე სხივებს ნახად უნაწილებს ირგვლივ სუყველას, ცა კიდევ უფრო იქარება ნაირფერებით, და მთის კალთებზე ნაკადული მოილტვის ველად, სიო კი დაჰქრის აღმადაღმა ფერებ-ფერებით.

ქალაქში გაზრდილს, ქალაქური ყაიდით ჩაცმულს, „სოფლის სამოსი“ მომირგია ტანზე მეფურად, იდუმალაში, რძლად მოვსულვარ და არც კი ვნანობ, ქართული მინა-წყაოს ვეფერები მე, ჩემებურად!

ტყუილად გივლია აღმა-დაღმა, არ ვიცი რისთვის... და მარტობა დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეგძრავს, თამში ჭაღარა შეგპარავია,

შენც კარგად იცი, გამოგონებულ შენს სიყვარულს დაუნყებ ძებნას! შენ ვერაფერი გაგიგია



ნახ. რეზო ხითარიშვილისა

თურმე, ამქვეყნად, სინმინდის ზღვრამდეც ვერ მისულხარ ამდენი წელი, გაგხუნივია სასათუმალთან სიზმრების წყება, წმინდა სიყვარულს ვერ უხამე ვერც ერთი ფერი! თუნდ ეკლესიას მიაშურო, შევებას ვერ ნახავ, თუ წმინდა გულით არ ისახე პირფვარი მკერდზე, ვისი სახება აგებნევა თვალეებში ნეტავ?!

როცა ხატებთან მუხლმოყრილი დააფრქვევ ცრემლებს!

მე ნეკნი ვარ, შენი ნაწილი, შენი დარდი ვარ, შენი სევდა, თან სიხარული, შენი სხეულის ყველა უჯრედს ვიცნობ ფ არ უ ლ ი, და შენი სულის გასაღებად ვარ მ ი ა რ უ ლ ი. ვერ გამქცივეი –

უფრო ძლიერი ვარ მთაში, ფიქრად გაყოლილი ნისლეტს, მზის სხივს ჩავიმარებ თმამში, ღრუბლებს მოვუყვები სიზმრებს.

ჩანჩქერს ჩამოყვები ბარად, ყველა ადგილს ვნახავ ლამაზს, მინდა დავაღწიო მარად, თავი გაუსადის მარაზმს.

უფრო ძლიერი ვარ მთაში, სტრიქონს უფრო ლალად ვაბამ, სიო – მოთარეშე რაში, შენზე მომიყვება ამაღას.

„ვეფხისტყაოსანი“ და იმერეთის ქართული სინამდვილე

დასაწყისი გვ. 1,2,3

სებულ რეალობასთან, ცხადია, მნიშვნელოვნად სწევს წინ როგორც პოეტის დაბადების, ისე ნაწარმოების შექმნის თარიღს. ნაწარმოები უნდა შექმნილიყო ქალი მემკვიდრის გამეფების იდეოლოგიური მომზადების პერიოდში, ანუ 1178 წლამდე. ამ დროისათვის, უეჭველია, პოეტი უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი სიმნიფის ასაკში, ანუ დაახლოებით 30-35 წლისა. შესაბამისად, შოთა რუსთაველის დაბადების სავარაუდო თარიღი 1140 წლის სიახლოვეს ექცევა.

პოემის სიუჟეტური კოლიზიის ანალიზიც განამტკიცებს ამ აზრს.

ვეფხისტყაოსანი, პოემის მიმართების ანალიზისათვის ისტორიულ სინამდვილესთან შესაძლებელია დასაყრდენად გამოვიყენოთ ორი ლოკალიზირებული ავტოგრაფიული ვარიანტი: პოემის დაბეჭდილი ვარიანტი ერთადერთი ქალი-მემკვიდრის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და გამეფების პრობლემაზე; შეუძლებელია, გენიალურ შემოქმედს რაღაც განაზრახის გარეშე შემოეცნა რეალური ვითარების ზუსტად დათხვევა (ერთადერთი ქალი მემკვიდრე) პოემის ორ მთავარ სახელმწიფოში – ინდოეთსა და არაბეთში, ანდა ეს უხერხულობა (მხატვრული გამოწვევის „კოპირება“) მის შემოქმედების ოსტატობას რამენაირად გამოჰპაროდა.

თუ ამას გამოვირცხავთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სისტემური პარალილიზმი რაღაც მიზანდასახულებას ემსახურება, ანუ ავტორი ამ მსგავს პარალიელ მოდელს რაღაც ლოკური დანახკვის მისაღებად გვთავაზობს.

„ვეფხისტყაოსნის“ ორივე საბაზისო სახელმწიფოს – ინდოეთისა და არაბეთის – სამეფო ტახტის ერთადერთი ქალი-მემკვიდრის ანალოგია რუსთაველის ეპოქის საქართველოს რეალურ ვითარებასთან ისე აშკარად იკითხება, რომ ე.წ. სიუჟეტური გაუცხოების ხერხი მხოლოდ ამგვარი „მამულიშვილი ფაქტოლოგიისაგან“ განყენებისათვის შეიძლება ყოფილიყო ანაზრული.

რას ნინასწარმეტყველებდა, ანუ რა სახელმწიფოებრივ იდეას აყენებდა შოთა რუსთაველი? ყველაზე მარტივად: იგი ამბობს, რომ ერთსა და იმავე საწყის ვითარებაში ორი ერთნაირი სახელმწიფოს ბედი შეიძლება სრულიად განსხვავებული ნაწარმოების – სეპ-სვიანად და ბედუკეურად.

და ამაში ერთადერთი რამ არის გადამწყვეტი: მეფე-მმართველის სიბრძნე!

უეჭველია, დიდი ქართველი მოაზროვე შედარებით ანალიზის ამ შესაძლებლობას თანამედროვეთა სთავაზობს ისტორიის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოვლენების ასეთი თუ ისეთი პროგნოზირება და ავტორისავე უთუოდ ნარმოედგინა, რომ მისი სახელმწიფოებრივი ხედვა თანამემამულეებს რთული ამოცანის გადაწყვეტაში სახელმძღვანელოდ გამოადგებოდა.

ნარმოდგენილი მონახაზის მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა:

1. „ვეფხისტყაოსანი“ დანერგა თამარის – როგორც ქალი მემკვიდრის – გამეფების იდეოლოგიური მომზადების წლებში (ამგვარი იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა ისტორიული რეალობა);
2. ავტორი დაახლოვებულია ჩანს სამეფო კართან, რადგან ძალაუფლებრივ პერიპეტებს იგი არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ კულუარული ინფორმაციებითაც იცნობს;
3. ნაწარმოების მიხედვით, იგი ვარაუდობს მოვლენათა ორგვარ განვითარებას – რაციონალურსაც და შეთქმულებითსაც. მისეული დისპოზიციიდან ჩანს, რომ იგი არ ემხრობა შეთქმულებით სცენარს, მაგრამ მოვლენების განვითარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებს მეფეს და მის კარს;

4. პოემა დანერგა 1177-78 წლებამდე, ვინაიდან შეთქმულების იდეა მოდელირებულია და არა – რეალისტური (როგორც ითქვა, ცალკეული პასაჟების დაკავშირების მცდელობა ნაძალადევა);

5. ცხადია, ავტორი უპირველესად წყვეტს დიად მხატვრულ ამოცანას და ნაწარმოების ნებისმიერი დეტალი ამ მიზანს ემსახურება. ამავე დროს, ეპოქის კონტექსტში ავტორისათვის ეს თემა არის აქტიური პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხი.

შეიძლება დავასკვნათ: რუსთაველი ფაბულასა და მის ხორცშესხმას, ისტორიისათვის მიმართების თვალსაზრისით, უწინარესად უნდა დავინახოთ ავტორის მონარქისტული (სახელმწიფოებრივი) მსოფლხედვა და არა – რაიმე ისტორიული კოლიზიის დაგვიანებული მხატვრული ასახვა. ამავე გამოკვეთილი პოზიციის უნდა უკავშირდებოდეს გენიალური შემოქმედის პირადი ბედისწერაც.



ახალციხის რკინიგზის სადგური, მე-20 ს-ის 40 იანე წლები

მატიანი

მამის ანდერძის წინააღმდეგ

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რაღაც იქნებოდა, დროის ერთი ერთ მოზრდილ სოფელში იყო ცნობილი ექიმბაში, ლომანოზა. ლომანოზას იცნობდა მორეულ სოფლების ადამიანებიც. იგი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ვისაც თავი სტკოვდა, ვისაც რაიმე ცხოვრების გასაჭირი ჰქონდა, ყველა ლომანოზასთან მოდიოდა რჩევა დარიგებისთვის.

ლომანოზა ხანში შესული იყო და სიკვდილის კარზე იდგა. ლომანოზას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, რომელიც ახალგაზრდობის გამო ჯერ არ იყო დასახლებული. ლომანოზამ ანდერძი დაუტოვა შვილს, რომ „ახალ მოსახლისაგან ვალს და ზარმაცი ოჯახიდან ქალს ნუ აიყვანო“. შვილი მამის სიკვდილის შემდეგ ბევრი ფიქრის შემდეგ დაადგინა, რომ განზრახ მინდა დავამტკიცო მამაჩემი მართლაც ბრძენი იყო თუ არა და მერთო ღარიბის ქალიშვილი. ქორწილისათვის ისეხსნა ახალ მოსახლისაგან ფული. არაფერს არ ამჩნევდა. ბრძენი ექიმბაშის შვილი ვერ მოითმინა და ერთ დღეს გადამწყვიტა, მოეკლა ცხვარი, შეენახა საბუღელო და ცოლი გაუმჩნეა. ცოლი, კაცი შემომაკვდა ხელში, ტომარაში ჩავაგდე და საბუღელოში შევინახე. არ გაგიწყრეს ღმერთი და არავისთან არ ილაპარაკო. ცოლმა თანხმობა მისცა. ამ საიდუმლოებს არავის არ ვეტყვი.

მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე, ჯერ დედასთან წავიდა და შემდეგ მეზობლები ინახულა, დაბრუნდა თუ არა სახლში, ისევე ვერ მოითმინა ცოლმა და ცალი კასრი, ცალი კოცა აიღო და წყაროზე წყლის მოსატანად წავიდა. ჯერ რამდენიმეს თავისი რიგი მისცა ზრდილობისათვის, რადგან ეს პატარადაა. ბოლოს ღრმად ამოიხორა ისე, რომ შესამჩნევი გახდა მისი ამოხორება. ჰკითხეს, თუ რაშია საქმე, რატომ ხარ დაღვრემილი? თუ არავის არ ეტყვი, გეტყვითო. ყველამ ერთ ხმად პირობა მისცა. ზოგმა დააფიცა კიდევაც, რომ არავის არ ეტყოდნენ. სწორედ დედაც ასე დააფიცა და მეზობლებიც, რომ არავის არ ეტყოდნენ და ახლა, ამათი ფიცით რახან დასაჯებელი გახდა, მოუყვა. თუ ღმერთი გნამთ, არავის არ უთხრათ და არ დაგვლეყოთო. მაგრამ გუშინ ყანაში ჩემს

ქმარს ხელში კაცი შემოაკვდა, მანაც შემინებულმა ჩადო ტომარაში და ჩვენს საბუღელოში შეინახაო. მრავალმა მრავალწლიანად იფიქრა და იმსჯელა. შუა დღისას მეფემ გამოგზავნა იასაულები, - ექიმბაშა ლომანოზას შვილი და მის საბუღელო ტომარაში მყოფი მკვდარი კაცი მომგვარეთო. მეფის კაცებმა ხელად შეასრულეს მეფის ბრძანება.

მეფემ ჰკითხა ლომანოზას შვილს, სადაა კაცი, რომელიც მოჰკალიო? ლომანოზას შვილმა უპასუხა: ყველა თქვენთაგანისთვის ცნობილმა მამაჩემმა ანდერძი დამიტოვა, ზარმაცი ოჯახის ქალიშვილს ნუ შეირთავ და ახლად დასახლებულისაგან ვალს ნუ აიღებო. მამაჩემის სიტყვის დასამტკიცებლად ტომარაში, რომლის პირიც შეკერილი მქონდა, ჩავდევი შიგ (ცხვრის ხორცი და ზარმაცი ოჯახისაგან შერთული ჩემი საყვარელი ცოლის შემონმებისათვის იგი მოვატყუეო. აი, ეს მინდოდა, თუ რამდენად მართალი იყო მამაჩემი. აი, ეს ხსნა სასახლის გარეთამდე, კარებამდე მომყვა ის ახალ დასახლებული მეზობელი, რომლისაგანაც საშინველად ავიღე ვალი და როცა გაიგეს, რომ მე მჭიჭრდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ყველაფერი მქონდა მისი ვალის გასასტუმრებლად, მან იარაღების ნინამე სული ყელზე მომიყვანა: მომიტე ჩემი ვალი და სადაც გინდა იქ წადიო, ე.ი. მან მე იმ დროს, როცა მოგყავდით სამსჯავროზე, მაშინ კი არ დამეხმარა, არამედ ამტკიცებდა, რომ ვარ ნამდვილი ბოროტი, კაცის მკვლეელი და არამზადყოფნა. აი რისთვის ჩავიღინე მე ყველა ესაო.

მეფემ მოუსმინა, მოუწონა ამ ახალგაზრდას შინჯვის გზები და გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქაქო იქა, ძბილი აქა. ამინ.

ისა ჩილაშვილი ნაამბობი, 62 წლის, კომპოზიტორი. ლატიფიზა ბარათაშვილი, ასოფელი უდვიტოროფი-თეოგრაფიული აღწერა 1943-1944 წლები.

მოგზაური საცხილა

ხელმწიფემ თავის ლალას (გამზრდელს) უთხრა: ნამოდი, ჩვენი ქვეყნიერება მოვიაროთ, გავიგოთ, ვინა ჩვენი მადლიერი და ვინ მომდურავიო. გამგზავრების წინ დაფიქრდნენ, საით ავირჩიოთ სახელი მიადგინო. გაიხედეს შორს და ნახეს ერთი გლეხი ყანას ხნავდა. ეს გლეხი გაიტანდა კვალს და ცეკვავდა, გამოიტანდა კვალს და ისევ ცეკვავდა. ხელმწიფემ უთხრა ლალას, ნეტა რა აცეკვებს ამ კაცსო. გადმწყვიტეს სახში სტუმრებოდნენ ამ გლეხს საღამოხანს, როცა მუშაობას მორჩებოდა.

იფიქრა, იქნება მომკლასო და ჩოხის შიგინთ ხანჯალი შემოიტრია ჩუმად.

სასახლში ხელმწიფემ ნადიმი გამართა, მერე მოიყვანა სამივე ცოლი და გლეხს უთხრა: დღეიდან ესენი შენ გყავდეს და როგორც გინდოდეს, ისე მოექეციო. გლეხმა წამოიყვანა ქალები და თან უკან-უკან იხედებოდა, ეშინოდა, არ მომკლანო. მიადგნენ მდინარეს. გლეხმა უთხრა ქალებს: ამ მდინარეში უნდა გავტოპოთო. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, კაცმა ისინი შეაჩერა და უთხრა: ეს ნმინდა მდინარე არის, აქ უნდა დავდოთ ფიცი ცოლქმრობაზე. მანამ ფიცს დავდებთ, ჯერ თქვენი ხასიათები გამაცანიოთ. ერთმა თქვა: მე ყველაფერს გაგიგონებ, ყველაფერში მოგემსახურები, ოღონდ ერთი ნაკლი მაქვს - პირზე მოსული სიტყვა თუ მოვითმინე, მოგვკვებო. გლეხმა იფიქრა, ამისთანა ენის ქალს არაფერი ეშველებო და ხანჯლით თავი მოჰკვტო. მერე მეორემ თქვა: მე რომ არ ვიჭერდი, არ შემოიძლიაო. გლეხმა მას არაფერი არ უთხრა. მესამემ თქვა: ცუდ გზაზე რომ არ ვიარო, ისე ვერ გავძლებო.

გლეხმა ამ ორს გამოუძღვა და მიიყვანა სახლში. დილით გლეხმა ქურდი ქალი იხმო და უთხრა:

ყველაფრის გასაღებებს გაბარებ. მე ქურდობას არ გიშლი, მაგრამ თუ შეგამჩნიე, ისეთივე ამბავს დავგმართებ, რაც ენატანია ქალსაო. ასევე დაემუქრა ცუდ გზაზე მოსიარულე ქალს. ამის შემდეგ გლეხი დაემშვიდობა მათ და ყანაში სამუშაოდ წავიდა. დარჩნენ ეს ქალები მარტონი. იფიქრეს, ჩვენ იმისთანა დღე მოგველის, რომ უნდა მოვიშალოთ ჩვენი საქციელიო. მთელი დღე ისე გაატარეს, როგორც კარგმა ოჯახის ქალებმა. გლეხი როცა სამუშაოდან დაბრუნდა, მიგებნენ, ხარები გამოუშვეს, ორივემ ფეხები დააბანინეს და მერე ვანშია აჭამეს. სამივენი ერთად დანჯნენ. ყველაფერს ისე აკეთებდნენ, რომ გლეხისთვის ეს იამოვნებინათ. აქამდე თუ გლეხი მუშაობისთვის კვლის თავში და ბოლოში ცეკვავდა, ახლა შუაშიც ცეკვავდა.

ხელმწიფემ და ლალა დაინტერესდნენ გლეხის ბედით და ერთხელ კიდევ გაეშურნენ მის სანახავად. ნახეს გლეხი შუა კვალშიც თამაშობდა. საღამოს სახშიც ესტუმრნენ და როცა ნახეს გლეხის ცოლების საქციელი, ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. არც გლეხი არ იყო უკმაყოფილო მეფისა და კარგად აქეიფა.

მთქმელი ალექსანდრე ლეკიშვილი, 43 წლის, სოფელი თოკი, ასპინძის რაიონი, ჩაინერა ამირან ბომბარტიშვილმა 1965 წელს. თსუ ფა N3766

თურქულენოვანი მესხური ანდაზები

- კაცი თაფლში იყო ჩავარდნილი და ხელს ნეხვისკენ იქნევდაო.
- ბრმას ლუკმა მეტი გაუყვეს, თქვა - ვინ იცის თავად რა დარჩაო.
- მძინარე ძალს აღვიძებდა, - მოდი, საჯდომზე მიკბინოო.
- ტყე ცოტას მზიდებდა გამოლიაო.
- ეშმაკი და კვერთხიო, ყვავი და თეთრი კვერცხიო.
- ვინც ურჩი შვილი არ ცემა, ხელი მუხლებზე იცემა.
- გარედან იჯდა და შუაში ჭამდა.
- მეტი სიხარბე ქვას გახეთქავსო.
- ქურდისა და მძებრის მანძილი ორმოცი დღეაო.
- შენც ალა, მეც ალა, ხვალ ნახირში ვინ წავაო?
- უნახავმა ერთბაშად ნახა, თავის საშველი ვერ გამოხანაო.
- ვირი თვითონაა, თივას წინ სხვას უყრისო.
- თოვლი ბნელშია ლამაზი, სინათლე შეგდებაო.
- ჰარამი მოვა, ალაღასაც წაიდებსო.
- პატარები ვიყავით, უფროსების გვეშინოდა, გავიზარდეთ და პატარების გვეშინიაო.
- სული ვისკენაც გეწონება, ლამაზი ის გვეგონება.
- ყანაში შეპარულმა მაჩვმა, ორითოსაც უნდა გაუძლოსო.
- ყასაბი სისხლის დარღვითა, თხა სიცოცხლის სიხარბითა.
- შვილო, ერბოკვერცხს ხელი არ ახლო, ქაქია, ნათლიამ უნდა ჭამოსო.
- პრიყს საჯდომზე სცემდნენ და დოლის ხმა ესმოდაო.
- დიდ ცოდვას იდებს ტანჯულ ფეხებზე, ჯერ მონადირე, მერე მეთევზე.
- საწყალ რბალს მარცხი რომ მოუვიდეს, დედამთილის პირში ჩავარდებო.
- ფული მიჩვენე, მოლას მეჩეთში მოველებო.
- ნავიდა ვარდი, მიდის ბულბულში, გინდ მოკვდი, გინდ დარჩი სულდგმული.
- კაცი ტანჯვისთვის მუდამ მზადააო, სინდისის დამკარგავი არამზადაო.
- ძალი ლეკობიდან უნდა შეიჩვიო.
- მზემ ქალამანს მოუჭირა, ქალამანმა - ფეხსაო.
- ერთი ხელთი ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.
- ძველი დოსტი მტერი არ გავიხდებაო.
- მზეს თუ აჯობებს ლამპარი, გმირსაც დაჯახნის ლაჩარი.
- პური აცხოზინე მეპურეს, მიეცი ხელის შემწყურეს.
- მთის კაცსა თუ ბარის კაცსა, გაასუქებს ერთი კაცსა, ორმოცი დღე ხახვი ჭამოს, მკვდარს ველარ სთხოვ ჯარის ხარკსა.
- შეგეხო კალთა კახისა, მოიჭერ კალთა კახისა.
- სთქვა მოსამართლემ - ნახეთ, რას სჩადის, ეს მოპასუხე ვერად გთვლის ყადის. მაგას ჰგონია, რადგან ყვირიხარ, ვერ დასჯი, ვითომ მართლა ვირი ხარ.
- ხელთი ნაქვარი კისრით სწეო.

ჩაინერა და თურქულიდან თარგმნა ბომბარტიშვილმა 2011 წელს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ხოსპიო.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

ღამაშაქანაზღაბი: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რედაქციის ავტორის ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ბაზათი რედაქციის ავტორის ავთანდილ ბერიძე
 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 საკარგისტრაციო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის ავთანდილ ბერიძე
 საკარგისტრაციო საბჭო:
 დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დირექტორი
 შპს „საარის“ სტამბაში
 მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
 ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
 ტელეფონი მთავარი რედაქციის: 599 97 95 24
 lit.meshketi@gmail.com
 lit.meshketi@yahoo.com